საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

პარასკევი, 28 თებერვალი, 2014 წელი.

№42 (7423)

იმისთანა წმინდა საქმეში, რიგორიც ბოჭდვერი სიფცვაა, ფცუილებით და ჭირებით ბუტთის გაფანა ყვეოა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.

გადატრიალება — უმტკიცებულებო ბრალდებები

7

კიევის განტოლება

3

თუ საქართველოს, აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს კვლავ ერთად ყოფნა მოუნდებათ, არ აქვს მნიშვნელობა რა ფორმით, ამ პროცესში რუსეთი არ ჩაერევა

4

„ხუდონჰესის დილემა“ და სპეციალისტთა არგუმენტები

5

ზემაღალი სიხშირის ტალღების აგრესია

9

დღის ამფრაზურიდან

გარშემო გაგონილი და მოსმენილი

ხალხი მიდის და მილაპარაკობს...

სანამ სამართალი უტუხი კუბლაშვილის ხელშია, კოტესი, სიკეთეს ნუ ელოდებით...

— ამ ლაქლაქ-ლაქლაქში თითქმის მეორე წელიწადიც იწურება... რაც ითქვა, ბოლომდე კი არა, ნახევრის ნახევარიც არ შესრულებულა.

— ჰოდა, სწორედ მაგიტომ დაიგრძელეს ენა ნაციონალებმა და ეგ დამნაშავე სააკაშვილიც მაგიტომ დარბის მთელ პლანეტაზე აგრე თავაბლეჩილი და თან ვითომ დემოკრატიას ასწავლის ქვეყნიერებას...

— ყვავს რომ არაფერი ჰქონდა და ბუს გაჰქონდა, მაგის საქმე სწორედ ისეა.

— თანაც როგორი ლაშქარი ჰყავს!

— ჯერ მარტო ვაშაძე, კანდელაკი და კახიძე რად ღირან!

— ამ ვაშაძემ მაინც, მგონი, სააკაშვილსაც გადააჭარბა.

—სააკაშვილს ცოტაღა დააკლდა, რომ „არჩევანში“ ვირეშმაკა გაბუნიას შეკითხვაზე, უკრაინელი რევოლუციონერები ხომ არაფერს გვთავაზობენო, პრეზიდენტობას მთავაზობენო, არ თქვა. არადა უკვე ჩანდა, პირდაპირ ენაზე ადგა სიტყვა„პრეზიდენტი“. ეს მაშინ, როცა იანუკოვიჩზე არანაკლები დანაშაული აქვს ჩადენილი ერისა და ქვეყნის წინაშე...

— არანაკლები კი არა, ორჯერ და სამჯერ მეტი... თუ იანუკოვიჩის უტიფროობას ასამდე ადამიანი შეეწირა და ქვეყანა დომხალს დაამსგავსა, სააკაშვილმა ორასზე მეტი ახალგაზრდა ჩააწვინა მიწაში და თავისი ბოროტი უტვინობით კიდევ უფრო დაგვიპატარავა ისედაც ერთი ციცქნა სამშობლო...

— მერედა ვისგან ელოდები სამართალს, ვინ უნდა აგებინოს პასუხი? გურულებს ერთი ჩინებული სიტყვა აქვთ (ბევრ ჩინებულ სიტყვასთან ერთად, რასაკვირველია!). ეს სიტყვაა „უტუხი“, რაც ნამუსგარეცხილზე ბევრად მეტს ნიშნავს, უფრო სწორად, ფარულად და მალულად იმ ანტიხალხური აზრების გატარებას ცდილობს, რასაც დამარცხებული უფროსი ახალი გამარჯვების მოსაპოვებლად ავალებს ჯერ კიდევ თავის ძველ თანამდებობაზე შემორჩენილს და ვითომ ახალ სარწმუნოებაზე მოქცეულს...

— ესე იგი, ვის?

— ვის, ჩემო ბატონო და ჩვენს მართლმსაჯულების ფანტომასივით შემორჩენილ კუბლაშვილს, რომელმაც სავლეობიდან პავლედ ქცეულ თავის ძმასთან ერთად თითქმის ათი წელიწადია, ერთ ადგილას გამოისვა ქვეყანაცა და ხალხიც...

— მერედა, რა გახდა, ბატონო, ამ მართლაცდა უტუხი ადამიანებისთვის თავიანთი საკადრისი ადგილის მიჩენა?

— რა გახდა, და საქართველოში ვითომდა ისეთი დემოკრატიის შექმნის სურვილი, რომ გაოცებულ ევროპას პირი დავაღებინოთ.



—სანამ მაგ დემოკრატიას შევქმნიდეთ და ევროპას პირს დავაღებინებთ, კი გავა კიდევ ორი წელიწადი, მეტი თუ არა, და ნახავ ისევ ახალი დავით აღმაშენებელივით თუ არ შემოგლიჯინდეს ძველებურად უტუხი სააკაშვილი ამ ჩვენს ნამდვილად „გოდოს მოლოდინში“ მყოფ საწყალ საქართველოში.

— ორი წლის შემდგომი არჩევნები კი არა, აგერ ახლა, მაისში ადგილობრივ არჩევნებში ნახავ, რაც მოხდება!

— ვითომ რა მოხდება?

—ვითომ კი არა, ის მოხდება, რომ „ოცნებაზე“ ძალიან ბევრი გულგატეხილი სწორედაც ისევ ნაციონალებს მისცემს ხმას. ადგილობრივ არჩევნებში გამარჯვებული ნაციონალები კი, კარგად მეყოლე, თეთრი რაშებით დაიძვრებიან მომავალი 2014 წლის არჩევნებისკენ. აბა ეგ ვაშაძე, კანდელაკი და რატიანი ტყუილად კი არ ჭიჭინებენ ამდენს...

— აი, თუნდაც ამ ყოფილი ზონდერის, ახლა ვითომ ადვოკატის ონიანის საქმე აიღე. ყველა ელოდა, რომ ციხეში ამოყოფდა თავს, ციხეში კი არა, აგერ ბრიფინგებს მართავს და მიწაში ფლავს მეოცნებეებს.

—ონიანი კი არა, ბატონო, უგულავას და კეზერაშვილს ვერ მოუხერხეს დღემდე ვერაფერი. ისე აჭიანურებენ სუყოველ საქმეს, თითქოს ეს საუკუნე, ანუ კიდევ დარჩენილი 86 წელი ამათ განკარგულებაში იყოს.

—ვაი, ვაი, რომ ეს საეჭვო გაჭიანურება კიდევ ძალიან დიდხანს გასტანს, რადგან ამ საქმეს სათავეში გაჭიანურების ისეთი დიდოსტატი უდგას, როგორიც გურულების თქმით, უტუხი კოტე კუბლაშვილია.

— მერე, ჩვენ რა ვქნათ?

— რა უნდა ვქნათ და, იმ ერთი უცნობი და უხილავი გოდოსი არ იყოს, უნდა ვიდგეთ და ჩვენი დარჩენილი ცხოვრება „გოდოს მოლოდინში“ გავატაროთ. და თან რაც შეიძლება ხმამაღლა ვიძახოთ: „გაუმარჯოს ქართულ ოცნებას“.

ჩაიწერა

გურამ წიკლაურმა

რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!..

პრეზიდენტი სომხეთის ეწვია

გუშინ სომხეთის რესპუბლიკაში საქართველოს პრეზიდენტ გიორგი მარგველაშვილის ოფიციალური ვიზიტი დაიწყო. როგორც საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციიდან იტყობინებიან, ქვეყნის პირველ პირს „ზვართნოცის“ საერთაშორისო აეროპორტში სომხეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი ედვარდ ნალბანდიანი დახვდა.

გიორგი მარგველაშვილი ერევნის საერთაშორისო აეროპორტიდან, სომხეთის პრეზიდენტის სასახლეში გაემართა, სადაც ქვეყნის პირველი პირის ოფიციალური დახვედრის ცერემონია გაიმართა.

ცერემონიის შემდეგ საქართველოს და სომხეთის პრეზიდენტებმა პირისპირ შეხვედრა გამართეს. მხარეებმა ორ ქვეყანას შორის თანამშრომლობის საკითხები განიხილეს. იმედი გამოთქვეს, რომ კეთილმეზობლური პოლიტიკა მომავალში კიდევ უფრო გაღრმავდება. შეხვედრაზე ინფრასტრუქტურული პროექტებიც განიხილეს ეკონომიკური და რეგიონის უსაფრთხოების კუთხით.

გიორგი მარგველაშვილის განცხადებით, ქართველ და სომეხ ერს მრავალსაუკუნოვანი კულტურა აკავშირებთ, საქართველოში მცხოვრები ეთნიკური სომხები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ქვეყნის განვითარებაში.

„საქართველო თავისუფლების, კულტურათა შეხვედრის ადგილია, სადაც ჩვენი რეგიონის სხვადასხვა კულტურები ვითარდება და გვაძლევს ახალ მიმართულებს“, – განაცხადა გიორგი მარგველაშვილმა.

სომხეთის პრეზიდენტმა სერჟ სარგსიანმა კიდევ ერთხელ მიულოცა საქართველოს პრეზიდენტს არჩევნებში გამარჯვება და მას წარმატება უსურვა.

პრეზიდენტმა სარგსიანმა აღნიშნა, რომ სომხეთისთვის მნიშვნელოვანია საქართველოს პრეზიდენტის ხედვა რეგიონში არსებულ მდგომარეობასთან დაკავშირებით.

„დარწმუნებული ვარ, დღეს ჩვენ გველის დატვირთული და საინტერესო სამუშაო, ჩვენი ურთიერთობების დონე მუდმივად ღრმავდება. იმედი მაქვს, თქვენი ვიზიტი სომხეთის რესპუბლიკაში მისცემს ახალ, ძლიერ იმპულსს ჩვენს თანამშრომლობასა და მეგობრობას“, – აღნიშნა სომხეთის პრეზიდენტმა.

ორი ქვეყნის ლიდერებმა შეხვედრა გაფართოებული შემადგენლობითაც გამართეს.

საქართველოს პრეზიდენტი ქართულ დელეგაციასთან ერთად სომხეთის რესპუბლიკის ეროვნულ კრებასაც ეწვევა, სადაც სომხეთის რესპუბლიკის პარლამენტის თავმჯდომარეს ოვიკ აბრამიანსაც შეხვდება. დღეს შეხვედრა გაიმართება უმაღლეს პატრიარქ, ყოველთა სომეხთა კათალიკოს გარეგინ მეორესთან.

ნაცმოძრაობა გადავიდა იდიოტიზმის და ქვეყნის პოლიტიკისთვის სახიფათო სტადიაზე

საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის, „ქართული ოცნების“ გენერალური მდივნის კახა კალაძის შეფასებით, მიხეილ სააკაშვილი უკრაინის ტრაგედიაზე საკუთარი „პიარის აგორებას“ ცდილობს.

როგორც კალაძე საზოგადოებისადმი მიმართვაში აცხადებს, „ნაციონალური მოძრაობის“ წევრების განცხადებები საფრთხეს უქმნის საქართველოში მიმდინარე პროცესების სტაბილურობას, სიტუაციის მონიტორინგს საოკუპაციო ზონაში, ასევე უკრაინასა და რუსეთთან ჩვენი ქვეყნის ურთიერთობას.

„ნაციონალური მოძრაობის“ პარტიის ლიდერი, მოქალაქე საკაშვილი ბედავს და უკრაინის ტრაგედიაზე ცდილობს თავისი პიარის აგორებას. სააკაშვილი, რომლის რეჟიმი ზუსტად იანუკოვიჩის ხელისუფლების მსგავსად უარყო საკუთარმა ამომრჩეველმა – მომხვეჭელობა, კანონის საკუთარ თავზე მორგება, სახელმწიფოს ხარჯზე საკუთარი კომფორტის, კეთილდღეობის და დასვენების მოგვარება – ესაა სააკაშვილის და იანუკოვიჩის გუნდების საერთო ხელწერა და დანაშაული საკუთარი მოსახლეობის წინაშე. იმ ფონზე, როცა რუსეთის მხრიდან ადგილი აქვს პროვოკაციულ ქმედებებს და საერთაშორისო ნორმების დარღვევას, როგორც ყოველთვის, „ნაციონალური მოძრაობა“ თავისი ჩვეული, ისტერიული განცხადებებით ცდილობს ყურადღების მიქცევას, წარმოშობილი პრობლემის გაღრმავებას და დესტრუქციას. „ნაციონალური მოძრაობის“ თვითპიარზე ორიენტირებული გამოსვლები სასაცილოს ფაზიდან უკვე გადავიდა იდიოტიზმის და ქვეყნის პოლიტიკისთვის სახიფათო სტადიაზე. ამ პარტიის წარმომადგენელი, ბატონი ვაშაძე ბედავს და სატელევიზიო ეთერში აცხადებს, რომ საქართველოში რუსული ჯარი არ დგას. მცოცავი ოკუპაციის ფონზე, უკრაინაში მიმდინარე მოვლენების ფონზე, „ნაციონალური მოძრაობის“ წევრების განცხადებები საფრთხეს უქმნის საქართველოში მიმდინარე პროცესების სტაბილურობას, სიტუაციის მონიტორინგს საოკუპაციო ზონაში, უკრაინასა და რუსეთთან ჩვენი ქვეყნის ურთიერთობას, -– აღნიშნავს კალაძე მიმართვაში.

ამასთან, ვიცე-პრემიერის განმარტებით, მაშინ, როცა ამ ადამიანებს არჩევნების შემდეგ ჰქონდათ შანსი დაბრუნებოდნენ რეალობას, ბოლომდე გამარგინალდნენ, გახდნენ დესტრუქციულები და მთავრობასა და მოსახლეობასთან ურთიერთობის მხოლოდ დემაგოგიური, აგრესიული ტონი დაიტოვეს.

– მესმის, „ნაციონალების“ ისტერიული მდგომარეობა ქვეყნის პრემიერის წარმატებული ვიზიტითაა განპირობებული, მსოფლიოში უძლიერესი ქვეყნის ხელისუფლება ღიად გამოხატავს მხარდაჭერას საქართველოს მიმართ. კიდევ ერთხელ აღვნიშნავ, ვიზიტი მიმდინარეობს ხაზგასმით წარმატებულად. შედეგები არის უკვე თვალსაჩინო და შორს მიმავალი, – აცხადებს ვიცე-პრემიერი.

კახა კალაძე „ნაციონალური მოძრაობის“ წევრებს ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლაში დაღუპული პირების ოჯახებისთვის ბოდიშის მოხდისკენაც მოუწოდებს.

◎ ინფორმაცია

კეზერაშვილი ექსტრადირების ნაცვლად საერთოდ გაათავისუფლეს

საქართველოს თავდაცვის ყოფილი მინისტრის დავით კეზერაშვილის ექსტრადირებაზე საფრანგეთის სასამართლომ უარი განაცხადა. ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ ინფორმაცია კეზერაშვილის ადვოკატმა შოთა მინდელმა დაუდასტურა.

მისივე თქმით, საფრანგეთის სასამართლოს გადაწყვეტილებით, კეზერაშვილს ელექტრონული სამაჯურიც მოეხსნება.

დავით კეზერაშვილი ქართული მხარის მოთხოვნით საფრანგეთში 2013 წლის 15 ოქტომბერს დააკავეს. საფრანგეთის სასამართლომ იგი პატიმრობიდან ელექტრონული სამაჯურის გამოყენების პირობით გაათავისუფლა.

რაც შეეხება საქართველოში დავით კეზერაშვილის წინააღმდეგ საქმეებს, მის წინააღმდეგ სისხლის სამართლის ორი საქმეა აღძრული, რომელთა განხილვა თბილისის საქალაქო სასამართლოში მიმდინარეობს. ერთი საქმე კონტრაბანდული სპირტის საქმეა, მეორე კი ტელეკომპანია „იმედის“ და რიყის ტერიტორიის გასხვისების საქმე, სადაც თავდაცვის ყოფილი მინისტრი ბრალდებულია გიგი უგულავასთან ერთად.

ვანო მერაბიშვილს 26 მაისის საქმეზე 4 წლითა და 6 თვით პატიმრობა მიესაჯა

თბილისის საქალაქო სასამართლომ 26 მაისის საქმეზე ვანო მერაბიშვილს 4 წლითა და 6 თვით პატიმრობა მიუსაჯა. პროცესს ვანო მერაბიშვილიც ესწრებოდა.

26 მაისის საქმეზე ვანო მერაბიშვილის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმის განხილვა დაახლოებით ხუთი თვის განმავლობაში მიმდინარეობდა. წარდგენილი ბრალდება 8-დან 11 წლამდე პატიმრობას ითვალისწინებდა.

აღსანიშნავია, რომ სასამართლომ ვანო მერაბიშვილს რამდენიმე კვირის წინ განაჩენი ე.წ. ფიქტიური დასაქმების ეპიზოდზეც გამოუტანა. მოსამართლის გადაწყვეტილებით, ყოფილ პრემიერ-მინისტრს თავისუფლების 5 წლით აღკვეთა შეეფარდა.

◎ ვხედავ მეცხვარეს, ჯოხით მხარზედა...

მეცხვარეები საძოვრებზე გადასახადის დაწევას ითხოვენ. წინა ხელისუფლების პირობებში გადასახადი, უარგუმენტოდ 500%-ით გაძვირდა. პრობლემაა მკვდარი საქონლის ჩამოწერის საკითხიც, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის დღგ-სგან გათავისუფლება და სხვა ტიპის გადასახადები, რომელიც მესაქონელობის განვითარებას ძლიერ ამუხრუჭებს.

ეს საკითხები საქართველოს მეცხვარეთა ასოციაციის ხელმძღვანელმა, ბიზნესმენებისა და ფინანსთა მინისტრის შეხვედრის დროსაც დააყენა, რაზეც ნოდარ ხადურისგან პასუხი მიიღო, რომ ის შეხვდება ამ დარგში დაკავებული ბიზნესის წარმომადგენლებს და საბოლოო გადაწყვეტილებას ამის შემდეგ მიიღებენ.

„ანალოგიურად გაიზარდა სახნავ-სათესი მიწების ფასები და შესაბამისად ამან პრობლემა შეგვიქმნა თვითონ საქონლის თვითღირებულებაში. მიწის გადასახადი ადრე იყო 3 ლარი და შემდგომ გახდა 15-16 ლარი, რაიონების მიხედვით. იგივე გადასახადი დედოფლისწყაროში არის 7 ლარი, ახმეტაში - 5 ლარი, ხოლო სიღნაღში 16 ლარია, საგარეჯოში კი - 18 ლარი. არ არსებობს არანაირი გათვლა, თუ რატომ და რის საფუძველზე მოხდა გადასახადის გაზრდა“, – განმარტავს გონაშვილი.

მისი განმარტებით, თუ საჭირო იქნება, ბიზნესი მეტსაც გადაიხდის, თუკი გადასახადის ოდენობა არგუმენტირებული იქნება.

„ჯერ ვიღაცამ დათვალოს, კვლევა ჩაატაროს და მოხდეს დასაბუთება, თუ რატომაა ამხელა გადასახადი. გადასახადები რაიონების მიხედვითაა შემოღებული. ამავე დროს რაიონებში, შესაძლოა, სხვადასხვა ტერიტორია იყოს მიწის ნაყოფიერების თვალსაზრისით. არის მიწები სადაც მეტი მოსავალი მოდის, რადგან მეტი ხარისხია და არის მიწები, სადაც ნაკლები მოსავალი მოდის. ასეთ შემთხვევაში ეს მიწები ერთი და იგივე ფასით რატომ უნდა იბეგრებოდეს? ეს უნდა შეიცლაოს. სადაც გაზრდა იქნება საჭირო კი, ბატონო, გაიზარდოს, მაგრამ ყველაფერი დასაბუთებული იყოს.

მწყემსებს გადასახადი ანრჩობთ

როდესაც საშემოსავლო გადასახადს იხდი, სახელმწიფოსგან რამე სერვისს იღებ. ჩვენ არანაირ სერვისს არ ვიღებთ. მე მეტ გადასახადს ვიხდი და აღარ მრჩება იმის საშუალება, რომ მეც მოვუარო ჩემს საძოვარსა და ჩემს ფერმას“, – განმარტავს გონაშვილი.

კონკრეტულად რა ფისკალურ დანაკლისს მიღებს სახელმწიფო საძოვრებზე გადასახადის შემცირებით, უცნობია, თუმცა, გონაშვილის ინფორმაციით, სასოფლო-სამეურნეო მიწის ყოველდღიური გადასახადი 22,7 მლნ ლარს შეადგენს.

მეცხვარეები მკვდარ საქონელზე გადასახადის გაუქმებასაც ითხოვენ. მისი ჩამოწერისათვის ფერმერს ზედმეტი გადასახადის გადახდა უწევს.

„ცოცხალი პირუტყვი - ცხვარი რომ მოკვდეს, მოგიწევთ 20 ლარის გადახდა. თქვენ უნდა დარეკოთ შემოსავლების სამსახურში, მოვიდეს შემოსავლების სამსახურის თანამშრომელი და მოხდეს მკვდარი საქონლის ჩამოწერა. ანუ საქონელი უკვე მკვდარია, მაგრამ თუ არ ჩამოწერეს, ის შემოსავალში გეთვლებათ. პირუტყვი, რომ მოკვდა, მე ხომ უკვე ზარალი ვნახე და კიდევ დამატებითი გადასახადი უნდა ვიხადო? თან ეს თანხა იანგარიშება იმ ფასიდან, თითქოს მე ის ყველაზე ძვირად გამიყიდია.

როდესაც საუბარია ქვეყანაში კოოპერატივების განვითარებაზე, კოოპერატივები ვერ განვითარდება. ისე, თუ ელემენტარული ბუღალტერია არ აწარმოე. როგორც კი ბუღალტერიის წარმოებას დაიწყებ, პრობლემა ეგრევე დადგება. მოგიკვდება ცხვარი და ამისათვის დამატებითი გადასახადი უნდა იხადო.

ერთ-ერთ შპს-ს ბალანსზე არსებული 2000 სული ცხვარი მოუკვდა და იმისათვის, რომ ეს მკვდარი პირუტყვი ჩამოეწერათ, მასში 45 ათასი ლარი გადაიხადა“, - აცხადებს გონაშვილი.

საქართველოდან მხოლოდ ეს, ძირითადად, გადასახადებს უკავშირდება.

სოფლის მეურნეობის დარგში დაკავებული ფერმერები სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის დღგ-ს გადასახადისგან განთავისუფლებას ან მის შემცირებას ითხოვენ. თუკი ხელისუფლება დათმობაზე წავა და სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის იმპორტს დღგ-სგან გათავისუფლებს, ტექნიკა ადგილზე იაფი იქნება და იმავდროულად მასზე ხელმისაწვდომობაც გაიზრდება.

„ეს თემა მეცხვარეობის განვითარებას პირდაპირ არ ეხება, მაგრამ ეხება ირიბად. გეტყვით, რომ სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა, რომელიც საქართველოში შემოდის ჩვეულ რეჟიმში იბეგრება, ანუ საბაჟო და დღგ-ს გადასახადებით. ანუ საქართველოში 10000-დოლარიანი ტრაქტორი რომ იყიდოთ, თქვენ 3200 დოლარი უკვე ამ გადასახადებში გაქვთ გადახდილი. ამით ჩვენ ხომ ადგილობრივ წარმოებას არ ვიცავთ? ამით მხოლოდ ბიუჯეტს ვავსებთ და მხოლოდ ბიუჯეტის შესავსებად არც იმდენი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის იმპორტი არ ხდება ქვეყანაში, რომ ამ ყველაფერმა ბიუჯეტს პირდაპირ დაარტყას.

ჩვენი სურვილია, რომ სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა ამ გადასახადისგან განთავისუფლდეს ან დაიკლოს. ამით საშუალება გვექნება, რომ ფერმერებმა თვითონ გამოცვალონ და შეიძინონ ახალი ტექნიკა. ეს ყველაფერი კი ცხადია ტექნიკაზე ხელმისაწვდომობას გაზრდის და შესაბამისად პროდუქციის წარმოებაც უფრო იაფი დაჯდება.

ჩვენ დღეს კონკურენცია როგორ უნდა გავუწიოთ, ვთქვათ, აზერბაიჯანს, რომელსაც დიზელი აქვს კაპიკებში და ჩვენ კიდე 2 ლარს ვიხდით. ჩვენ ხომ შეგვიძლია სხვა რაღაცაში დავზოგოთ ჩვენი ხარჯები და სხვა მიმართულებით გავხადოთ ჩვენი წარმოება ეფექტური“, – განმარტავს გონაშვილი.

ბექა დანელია

კიევის განტოლება

„და კითხვა – ვინ ვის, ბებერ გულში ლახვრად მაჩნია“...

დიახ, ვეთანხმები საძულველ ნაცებს, რომ კიევში საქართველოს ბედიც წყდება. ოღონდაც, რა თქმა უნდა, მიშნაცებისგან განსხვავებულ კონტექსტში ვუყურებ უკრაინაში მომხდარს თუ მოსახდენს და ამიტომაც წავუმძღვარე წერილს ეპიგრაფად მურმან ლებანიძის „ვინ ვის“,

დავიწყოთ იქიდან, რომ ოლიმპიადებმა ჩვენს თვალწინ და აშშ-სსრკ-ს მეცადინეობით მშვიდობიანობის სიმბოლოს სტატუსი დაკარგეს და ლამის ომების სიმბოლოებად იქცნენ: ჯერ, შორეული 1980 წლის მოსკოვის ოლიმპიადის ბოიკოტის მიზეზად ამერიკელებმა წითელი არმიის ავღანეთში შეჭრა და საბჭოეთში ადამიანის უფლებების მასობრივი დარღვევა მოიდეს და შემდეგ მოსკოვმაც „ადეკვატური“ მიზეზით (რაც, ხუმრობაგაშვებით –შენ რომ ზანგებს აწვალებ?! დაახლოებით ასე ჟღერდა) დაბლოკა 1984 წლის ლოს-ანჟელესის ოლიმპიადა და ორივე სპორტულმა ფორუმმა ავღანეთის საომარი კონონადის აკომპონემენტის თანხლებით ჩაიარა!

შემდეგში, მართალია ოლიმპიადების კლასიკური ბოიკოტირება აღარ ყოფილა, მაგრამ სწორედ პეკინის ოლიმპიადის დროს წამოიწყო ამერიკელების მიერ შეგულიანებულმა საკაკშვილმა ცხინვალის სისხლიანი ავანტიურა, რამაც პრაქტიკულად საქართველოს დაშლა გამოიწვია, ხოლო სოჭის ოლიმპიადის პიკში, პიკს მიაღწია კიევის მაიდანზე მასობრივმა ხოცვა-ჟლეტამ, რამაც 45-მილიონიანი უკრაინა დაშლა-დაქუცმაცების რეალური საფრთხის წინაშე დააყენა! და თუ ჩვენს შემთხვევაში აშშ-თან ერთად რუსეთის ბრალზეც შეიძლება საუბარი, კიევი მხოლოდ და მხოლოდ ამერიკის სინდისზეა!..

დიახ, აქ ე.წ. დასავლეთზე ზოგადად საუბარიც კი უადგილო მგონია, რადგან აშშ-ია ერთადერთი გამგებელი დასავლეთ და უკვე აღმოსავლეთ ევროპისაც, რომელიც ძია სემის დაუკითხავად სიზმარსაც ვერ ნახულობს და კიევის მაიდანზე ბაროზოების თუ ეშთონების აქტივობა, სინამდვილეში აშშ-ის დირექტივების უნიჭოდ კომუფლირებული განხორციელება იყო და ამიტომ ქვემოთ, სადაც დამჭირდება მე აშშ-ს ვიხმარ და ვისაც გინდათ, ევროპა იგულისხმეთ...

ჰოდა, აქ რუსეთი, სამწუხაროდ, არაფერ შუაშია. სამწუხაროდ, რადგან საკვირველაუხსნელი პასიურობის გამო ვერ შეძლეს საკუთარი გეოპოლიტიკური ინტერესების დაცვა, რის გამოც უკრაინა შეიძლება მართლაც დაიშალოს, რაც რეგიონის სხვა ქვეყნებს, მათ შორის საქართველოსაც, კარგს არაფერს უქადის!..

დიქტატორ იანუკოვიჩის რეჟიმთან ბრძოლა, დემოკრატიული რევოლუცია ევროპული არჩევანისთვის და ა.შ. – რაც გინდათ ის დავარქვათ კიევში მომხდარს, ეს პოლიტიკური გემოვნების საკითხია. სინამდვილეში კი ჩვენთვის, ქართველთათვის კარგად ნაცნობი რამ იყო. ეს კინო ჩვენ 1991-92 წლებში უკვე ვნახეთ – კანონიერი ხელისუფლების შეიარაღებული გზით დამხობა! – კიევის ხელისუფლებაში ნაციონალისტ-ბენდერელებით შეზავებული ულტრალიბერალები მოდიან თუ უკვე მოვიდნენ?!

იანუკოვიჩი ოლიგარქობის გამო შეირჩა პრეზიდენტად, რადგან დასავლეთის ბანკებში განთავსებული მილიარდები იყო გარანტი მისი გარანტირებულად მართვისა და ასეც მოხდა – ჩანასახშივე შეიძლებოდა მაიდანის ექსტრემისტების ალაგმვა, მაგრამ ამერიკელების ზეწოლის გამო „ბერკუტმა“ მაშინაც კი ვერ მიიღო ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების უფლება, როდესაც „მშვიდობიანი მომიტინგეები“ ცოცხლად წვავდნენ და კალაშნიკოვებით ხოცავდნენ სპეცრაზმელებს.

ოოო, როგორ ჰგავს ეს ყველაფერი საქართველოს 1991 წლის გადატრიალების, 2003 წლის „ვარდების რევოლუციისა“ თუ 2012 წლის „არნახულად დემოკრატიული“ არჩევნების სცენარებს. **ჩვენთანაც ასე იყო: ჯერ აშშ-მა იარაღითა და ექსტრემისტების დახმარებით დაამხო გამსახურდიას ხელისუფლება, მერე ეს ექსტრემისტები შეესივნენ ქვეყნის იმ ნაწილებს, რომლებმაც არ გაიზიარეს საეჭვო წარმოშობის მართული ბანდიტების სულისკვეთება და მივიღეთ სამოქალაქო ომი, ომი აფხაზეთში... როდესაც მეხუთე კოლონა ისე მოძლიერდა, რომ ჟვანიასააკაშვილის ე.წ. ახალგაზრდა რეფორმატორების თაობა უკვე ავტონომიურად შეძლებდა ამერიკის ნების უპირობო შესრულებას, მივიღეთ „ვარდების რევოლუცია“. როდესაც ამ ახალგაზრდებმა ნდობისა და ადამიანურობის ყველანაირი რესურსი ამოწურეს, მივიღეთ ხელისუფლება ოლიგარქით სათავეში, რომელიც, მართალია, მალე გადადგა, მაგრამ დაგვიტოვა ოლიგარქატი და დღეს საქართველოში ამერიკის სიტყვა უფრო მეტად კანონობს და ანგარიშგასაწევია, ვიდრე რომელიმე ამერიკულ შტატში.**

საიდუმლო არავისთვის არის, რომ **არაერთი გადატრიალება-რევოლუციის შედეგად საქართველოს ხელისუფლებაში ძირითადად არაქართველები მოვიდნენ და მათი ბირთვი, რომელიც დღემდე რჩება ხელისუფლებაში, დღემდე აქტიურად ახორციელებს ანტიქართულ საქმიანობას.** საგულისხმოა, რომ არც უკრაინული მეიდნის ლიდერები არიან უკრაინელები. საქართველოში კარგად ვიცით, როგორ მოხდა გამსახურდიას დამხობის შემდგომ პერიოდში ყველგან, ყველა მნიშვნელოვან პოსტზე ყოველივე ქართულისგან და მართლმადიდებლობისგან შორს მდგარი ადამიანების დაწინაურება.

წლებია, ვჩივით ქართველები – **ვინ და რა-**

ტომ არჩევს ამ ჩვენებური მეხუთე კოლონის ხელმძღვანელებად ფსიქიკური გადახრების მქონე პირებს, მამათმავლებს, სექტანტებს, უცხოტომელებს, აგენტებს?! თუმცა, პასუხი ყველამ ვიცით: ასეთია ამერიკასთან „მეგობრობის“ სპეციფიკა. თუ ვინმეს ჯერაც ეჭვი ეპარება, გადახედოს უკრაინული მაიდნის ლიდერებს.

მათი უმრავლესობა არიან გრეკოკათოლიკეები; პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი ტურჩინოვი ბაპტისტია. არსენი იაცენიუკი და ვლადიმერ კლიჩკო ებრაელები არიან. კლიჩკო ისრაელში შეტანილია გამოჩენილ ებრაელ სპორტსმენთა კრებულში, იაცენიუკის დედა არის თალმუდის (ებრაული მოძღვრება) განმმარტებელთა ერთ-ერთი ცნობილი გვარიდან, მისი მეუღლეც ებრაელია, ხასიდების სექტიდან. იულია ტიმოშენკო რომ სომეხია (გრიგიანი), ესეც, დიდი ხანია, ვიცით და არავისთვის საიდუმლო არ არის. შინაგან საქმეთა ახლადდანიშნული მინისტრიც სომეხია – არსენ ავაკოვი. სომხობას თავი დავანებოთ და უკრაინულმა მედიამ გაავრცელა ვიდეო, რომ უკრაინის შინაგან საქმეთა ახალდანიშნული მინისტრი არსენ ავაკოვი და პოლიტიკოსი ალექსანდრე კირში გეები არიან. მათ ახალგაზრდა მამაკაცთან სექსუალური ურთიერთობა დაამყარეს. ეს მამაკაცი არ უარყოფს მომხდარს და ადასტურებს, რომ ავაკოვი ინტერნეტით გაიცნო, რომ ავაკოვმა მას ფულის სანაცვლოდ ჰომოსექსუალური მომსახურება სთხოვა და რომ მსგავსი „მომსახურება“ 2 წლის მანძილზე გრძელდებოდა. ამის შემდეგ ავაკოვმა მას გააცნო პოლიტიკოსი ალექსანდრე კირში, და სთხოვა, მისთვისაც გაეწია ჰომოსექსუალური მომსახურება.

ფაქტობრივად, **უკრაინაში მოხდა ხელისუფლების ძალადობრივი დამხობა ებრაულ-სომხური და ბაპტისტურ-კათოლიკური დაჯგუფების მიერ, რომელმაც ხელისუფლებაში მოსვლისთანავე ერთი სომეხი ტუსაღი გაათავისუფლა, მეორე სომეხი პედერასტი კი უმთავრეს ძალოვან მინისტრად დანიშნა. და 82 ადამიანს, რომლებიც ამისთვის დაიღუპნენ, გმირობა მიანიჭა** – არის თუ არა ეს ფარული ხელისუფლების ყრილობა, რომელმაც მიიღო დადგენილება, რომ ქვეყანაში კანონიერების აღდგენამდე თავად კისრულობენ საკუთარ რეგიონებში წესრიგის დაცვას, რისთვისაც ადგილობრივი მილიციის დასახმარებლად იქმნება ე.წ. სახალხო „დრუჟინები“, რათა არ დაუშვან მაიდნის „ზარაზა“ – ქერჩში მოხდა სერიოზული ფიზიკური დაპირისპირება, როცა ევრომაიდნელ დესანტს არ მისცეს მიტინგის ჩატარების საშუალება და „დესანტნიკები“ სასტიკად სცემეს. უკიდურესად დაძაბული ვითარებაა სიმფეროპოლსა და სევასტოპოლში და ა.შ. მოკლედ რომ ვთქვათ უკრაინა ახლა დუღს და ტემპერატურა სულ უფრო მატულობს...

რას აკეთებს ამ დროს რუსეთი? აქამდე ისეთი შთაბეჭდილება იყო, თითქოს რუსეთი ოლიმპიადის (ომელიც აშკარად წაამწარეს ამერიკელებმა), დამთავრებას ელისო და მართლაც, უკვე მეორე დღეს რუსეთმა საკუთარი ელჩი გაიწვია კიევიდან!

გასულ ოთხშაბათს კი პუტინის ბრძანებით რუსეთის დასავლეთის მიმართულების ჯარების საბრძოლო მზადყოფნის დათვალიერება მოეწყო...

ერთი რამ აშკარაა, რუსეთი უპასუხოდ ვერ და არ დატოვებს კიევის მოვლენებს და რას მოიმოქმედებს, ამაზე მხოლოდ მარჩილობა თუ შეიძლება. რეალურად ორი გზა აქვს პუტინს: პირველი, გააგრძელოს ჩაურევლობის პოლიტიკა (თუკი ეს შეგნებული არაუკრაინული წარმოშობის ხალხისთვის რუსული დანარჩენ უკრაინასთან საკომუნიკაციო ენაა! **ხომ არ გაგონებთ ეს შეტევა სამხრეთ-აღმოსავლეთ უკრაინის რეგიონებზე, ანუ მათზე, ვინც მაიდნის ანტისახელმწიფოებრივ სულისკვეთებას არ იზიარებს, პერმანენტულ რეიდებს სამეგრელოში, შეძახილებით: „ყველა ჩემი სამშობლოა, სამეგრელოს გარდა?“**

ბანდერელი ფაშისტი ექსტრემისტების პასუხად, აღმოსავლეთ-სამხრეთ, გნებავთ „რუსულ უკრაინაში“ ადგილობრივი ხელისუფლებები უკვე ღიად საუბრობენ კიევის მიმართ დაუმორჩილებაზე და არამარტო საუბრობენ – ხარკოვში შედგა რეგიონალური ხელისუფლებების ყრილობა, რომელმაც მიიღო დადგენილება, რომ ქვეყანაში კანონიერების აღდგენამდე თავად კისრულობენ საკუთარ რეგიონებში წესრიგის დაცვას, რისთვისაც ადგილობრივი მილიციის დასახმარებლად იქმნება ე.წ. სახალხო „დრუჟინები“, რათა არ დაუშვან მაიდნის „ზარაზა“ – ქერჩში მოხდა სერიოზული ფიზიკური დაპირისპირება, როცა ევრომაიდნელ დესანტს არ მისცეს მიტინგის ჩატარების საშუალება და „დესანტნიკები“ სასტიკად სცემეს. უკიდურესად დაძაბული ვითარებაა სიმფეროპოლსა და სევასტოპოლში და ა.შ. მოკლედ რომ ვთქვათ უკრაინა ახლა დუღს და ტემპერატურა სულ უფრო მატულობს...

რას აკეთებს ამ დროს რუსეთი? აქამდე ისეთი შთაბეჭდილება იყო, თითქოს რუსეთი ოლიმპიადის (ომელიც აშკარად წაამწარეს ამერიკელებმა), დამთავრებას ელისო და მართლაც, უკვე მეორე დღეს რუსეთმა საკუთარი ელჩი გაიწვია კიევიდან!

გასულ ოთხშაბათს კი პუტინის ბრძანებით რუსეთის დასავლეთის მიმართულების ჯარების საბრძოლო მზადყოფნის დათვალიერება მოეწყო...

ერთი რამ აშკარაა, რუსეთი უპასუხოდ ვერ და არ დატოვებს კიევის მოვლენებს და რას მოიმოქმედებს, ამაზე მხოლოდ მარჩილობა თუ შეიძლება. რეალურად ორი გზა აქვს პუტინს: პირველი, გააგრძელოს ჩაურევლობის პოლიტიკა (თუკი ეს შეგნებული პოლიტიკა იყო და არა ის, რასაც რუსები „პრომარგალი“-ს ეტყვიან) იქამდე, სანამ ევროპასთან ჩახუტებული უკრაინელები თავად არ წაიტეხავენ კისერს, როგორც წაიტეხეს ევროკავშირის მეორე-მესამეხარისხოვანმა ქვეყნებმა (მაგალითად, საბერძნეთმა და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებზე ხომ ლაპარაკიც არ ღირს) და გაღატაკებულ-გაპედერასტებულები თავად არ მოსთხოვენ პასუხს რევოლუციის ლიდერებს. მაგრამ ეს დროში გაწელილი პროცესია, რომლის დროსაც კიევის მსგავსი სცენარის აგორებას ამერიკელები მოსკოვის „ბალატნიზედაც“ ეცდებიან. ასევე მოსალოდნელია, რომ კიევის მაიდანი „რუსეთის უკრაინაზეც“ დაიპირებს უსწრაფესად კონტროლის დამყარებას და თუ შეძლეს, ამას ლოგიკურად მოჰყვება ამერიკელების ზეწოლა სევასტოპოლიდან რუსული სამხედრო ბაზის გაყვანისთვის. ასეთი მოთხოვნის შემთხვევაში პუტინს არა იმდენად ამერიკასთან ექნება საჭიდაო, რამდენადაც საკუთარ სამხედროებთან (რაზედაც დგას პუტინის ხელისუფლება), რომლებიც პირდაპირ და მკაცრად შებედავენ მთავარსარდალს – რად გვინდა ამდენი ტანკები და რაკეტები, თუ იანკები ამდენს გაგვიბედავენ?

მით უმეტეს, რომ გორბაჩოვის უხერხემლობის მაგალითი კარგად ახსოვთ, როდესაც მაშინდელი ფრთიანი გამოთქმით თუ ვიტყვით – „პრასრალი ველიკუიუ დერჟავუ“ და ეგეც არ აკმარეს ტყლიპიანს ამერიკელებმა და „გოიმივით გადაგდეს“ – ნატო აღმოსავლეთით აღარ გაფართოვდებაო და გაფართოვდა კი არა, ისე ახლოს მიადგა რუსეთს, რომ ლამის „გაუფართოვონ“ – მოკლედ, კიდევ ერთი „პროსრალი“, ამჯერად ყირიმის მიმართ რომ დაუშვან რუსებმა, ისეთ შიდა უმართავ პროცესებს გამოიწვევს, რომ შეიძლება თავად რუსეთიც დაიშალოს...

ისტორიამ სულ ორი მსოფლიო ომი იცის. თუმცა, იმასაც ხშირად ამბობენ ბოლო დროს, რომ მესამე მსოფლიო ომიც იყო, ე.წ. ცივი ომის სახით, რომელიც ბერლინის კედელის დანგრევით დასრულდაო. ყველა მსოფლიო ომის შემდეგ აუცილებლად ხდებოდა მსოფლიოს ხელახალი გადანაწილება ზესახელმწიფოებს შორის და ასე იყო „მესამე მსოფლიო ომის“ შემდეგაც. ოღონდ რუსეთის გარეშე გადაინაწილეს გავლენის სფეროები, რადგან მას 90-იანი წლებიდან მოყოლებული მხოლოდ ნომინალურად ერქვა ზესახელმწიფო!

აქედან გამომდინარე, დღევანდელი რუსეთი 30-იანი წლების გერმანიას მაგონებს, რომელიც ახლაღა ცდილობს დაკარგული გავლენების დაბრუნებას, ოღონდ გაგანია „მეოთხე მსოფლიო ომის“ მიმდინარეობისას. დიახ, ბოლო 10-12 წელიწადია, ფარული ომი მიმდინარეობს ნეოლიბერალურ და ტრადიციულ ღირებულებებს შორის და კიევის მოვლენები მხოლოდ არქიმანდრიტ რაფაელის სიტყვების დასტურია – „არ არსებობს ლიბერალიზე უფრო მძვინვარე მხეცი“ – მაიდანზე კლანჭები გამოაჩინეს და ვნახეთ, რომ მაგათთვის ადამიანის სიცოცხლე შაურის ფასია.

შეიძლება ითქვას რომ ეს ომი რელიგიათა, კულტურათა ომიც არის. უფრო სწორედ უღმერთო სატანისტები და დეკულტურიზებული უმცირესობები ებრძვიან ყველა ტრადიციულ კონფესიებს (ჩვენს შემთხვევაში მართლმადიდებლობას), როგორც მთავარ წინაღობას გლობალიზაციის ბინძური შემადგენლების მიმართ. ვინმეს მოსწონს თუ არა, სწორედ ოკუპანტი პუტინის რუსეთია ამ ომში გარყვნილი გლობალისტების საპირწონე და რომ არა რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესია, რომლის ჯვრის ძალმოსილებას უფლის შემდეგ რუსეთის ბირთვული პოტენციალიც უზრუნველყოფს, მართლმადიდებლობა, როგორც ასეთი, დღეს ან საერთოდ აღარ იქნებოდა, ან თუ იქნებოდა, მხოლოდ რიგითი სექტა.

ამერიკა დღეს, ფაქტობრივად, ყველაფერ ტრადიციულად ღირებულის მტერია, ხოლო მისი სატელიტი დასავლეთია ერთსქესიანი ქორწინებების მთავარი ლობისტი და მათ გლობალურ დონეზე მხოლოდ რუსეთი

უპირისპირდება და ამ ჭიდილში ჩემი ფალავანი ვლადიმერ პუტინია, რადგან ოკუპირებულ ტერიტორიებს როცა იქნება დავიბრუნებთ, მაგრამ ოკუპირებულ-ამპუტირებულ სულს, ვერასოდეს...

დავით მხეიძე

◎ ინფრასტრუქტურა

მთავარია ნავსადგური

შავი ზღვისპირეთში ახალი ქალაქის ლაზიკის აშენება, როგორც ცნობილია, ექს-პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის ერთ-ერთი გამორჩეული „მიუნჰაუზენური“ პროექტი გახლდათ, რომლის განხორციელებაზე ხელისუფლებაში მოსულმა კოალიცია „ქართულმა ოცნებამ“ უმალ ხელი აიღო. არადა, კოლხეთში, კერძოდ, ანაკლიაში შესაბამისი ინფრასტრუქტურიანი ახალი დიდი ნავსადგურის მშენებლობა ისევე, როგორც არსებული ნავსადგურების ტვირთბრუნვის გაზრდა ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისა და ტრასეკას სატრანსპორტო დერეფნის შესაძლებლობათა გაცილებით მეტი ინტენსივობით გამოყენების თვალსაზრისით უაღრესად აქტუალურია.

ასეთი დიდი პროექტის დამოუკიდებლად განსახორციელებლად საქართველოს საკუთარი ძალები არასაკმარისია, საიმისოდ აუცილებელია სოლიდური უცხოური ინვესტიციების მოზიდვა. ამის გათვალისწინებით დიდად მნიშვნელოვანია, რომ ანაკლიაში სატვირთო ნავსადგურის განვითარების პროექტით ერთ-ერთი უდიდესი ამერიკული საინვესტიციო ჰოლდინგი „კონტი ჯგუფი“ დაინტერესდა, რომლის პრეზიდენტი **კურტ კონტი** ცოტა ხნის წინათ საქართველოში იყო ჩამოსული.

აღსანიშნავია, რომ „კონტი ჯგუფს“ მსგავსი პროექტების განხორციელების ასწლიანი გამოცდილება აქვს, რაც მისი წარმატებით განხორციელების საუკეთესო საფუძველს წარმოადგენს. იმედიან მოლოდინს კიდევ უფრო მეტად აძლიერებს პრემიერ-მინისტრ **ირაკლი ღარიბაშვილის** მეთაურობით საქართველოს სამთავრობო დელეგაციის ახლანდელი ვიზიტი ვაშინგტონში და შეხვედრა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტ **ბარაკ ობამასთან,** სადაც მან, სხვა საკითხებთან ერთად, ხაზი გაუსვა ორ ქვეყანას შორის ეკონომიკური კავშირების გაძლიერების აუცილებლობას.

საქმიან ვიზიტად ჩამოსული ბატონი კურტ კონტი საქართველოს ვიცე-პრემიერს, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრს **გიორგი კვირიკაშვილს** შეხვდა, რომელსაც ასევე რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი **დავით ნარმანია** და საპარტნიორო ფონდის აღმასრულებელი დირექტორი **ირაკლი კოვზანაძე** დაესწრნენ. შეხვედრაზე ანაკლიის ნავსადგურისა და მიმდებარე ტერიტორიაზე ლოჯისტიკური და სამრეწველო ზონის განვითარების, აგრეთვე საერთაშორისო აეროპორტის და თხევადი გაზის ტერმინალის მშენებლობის საკითხები განიხილეს. ამერიკული კომპანიის წარმომადგენლებმა, რომელნიც ანაკლიის პროექტის მენეჯმენტით არიან დაინტერესებულნი, საქართველოს მხარეს აღნიშნულ საკითხზე თავიანთი მოსაზრებები გააცნეს. ვიცე-პრემიერ გიორგი კვირიკაშვილის განცხადებით, ანაკლიის პროექტი რეგიონული მოთამაშეების ინტერესებს უნდა აერთიანებდეს, რის შესაბამისად საქართველოს მთავრობა ისეთი სტრატეგიული მენეჯერის შერჩევას გეგმავს, რომელიც მის წარმატებით განხორციელებას უზრუნველყოფს. მან ასევე ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ ანაკლიის ნავსადგურის პროექტი მთლიანობაში თანხვედრაში უნდა იყოს საქართველოს რკინიგზის მოდერნიზებასთან, რაც ამჟამად მიმდინარეობს.

კითხვაზე, თუ **რა სტადიაშია ამჟამად ანაკლიის ნავსადგურის მშენებლობა და, არსებითად, რით განსხვავდება ეს პროექტი ლაზიკის პროექტისგან,** რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრმა **დავით ნარმანიამ** ჩვენთან საუბრისას, კერძოდ, განაცხადა:

— მიხეილ სააკაშვილის პრეზიდენტობისას აქცენტი ქალაქ ლაზიკის მშენებლობაზე იყო გაკეთებული, ნავსადგური და შესაბამისი ინფრასტრუქტურა კი ერთგვარად მას უნდა დართვოდა, არადა, როცა პროექტი გადავიბარეთ და მისი რევიზია ჩავატარეთ, აღმოჩნდა, რომ ლაზიკის პროექტი, რბილად რომ ვთქვათ, მოუწესრიგებელი აღმოჩნდა. პირდაპირ შემიძლია ვთქვა, რომ ეს, უბრალოდ, იდეა გახლდათ, რომელსაც სათანადო საპროექტო დოკუმენტაცია არ ახლდა და ცალკეული ნახაზებისა და ნახატების დონეზე შესრულებული სამუშაო იყო. ამ პროექტს დღესდღეობით ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო საპარტნიორო ფონდთან ერთად ახორციელებს და მის ფარგლებში წინასწარი გამოკვლევა უკვე დასრულებულია, დაინტერესება ინვესტორების მხრიდანაცაა გამოხატული. ახლა პროექტის ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთება უნდა მომზადდეს, რის შემდეგ ჯერი კონკრეტულ სამშენებლო სამუშაოებზე მიდგება. ეს საკმაოდ შრომატევადი პროცესია, მაგრამ სწორი მენეჯმენტის პირობებში, მისი 2-3 წელიწადში დასრულება სავსებით შესაძლებელია. ამდენად, ახლო მომავალში საქართველოს ახალი ნავსადგური ექნება, რომელსაც დიდი წყალრწყვის სატვირთო გემების მიღება შეეძლება. ამავდროულად გაგრძელდება სხვა ნავსადგურების მოდერნიზება, პარალელურად უნდა გაიზარდოს საქართველოს სატრანზიტო დერეფნის გამტარუნარიანობა, რათა მეტი ტვირთების მოზიდვა შევძლოთ, რისი პოტენციალი ქვეყანას ნამდვილად აქვს.

სამინისტროს წლეულს განსახორციელებელ პროექტებზე საუბრისას ბატონმა დავით ნარმანიამ, კერძოდ, აღნიშნა, რომ მთავარი პრიორიტეტი პარალელურად დაახლოებით 200 კილომეტრის სიგრძის შვიდ მონაკვეთზე მაგისტრალური საავტომობილო გზების მშენებლობა იქნება, რასაც უწყების წლიური ბიუჯეტის ნახევარზე მეტი მოხმარდება. ასევე დიდი ყურადღება მიექცევა მუნიციპალური გზების მოწესრიგებას. მეორე პრიორიტეტული მიმართულებაა 25 მუნიციპალიტეტსა და სამ სასოფლო დასახლებაში წყალმომარაგების სისტემების მოწესრიგება, მესამე კი საბავშვო ბაღებია, ვინაიდან გადასახადის გაუქმების შემდეგ მათზე მოთხოვნა საგრძნობლად გაიზარდა, რაც ძველების შეკეთებასა და ახლების აშენებას საჭიროებს.

ამის გარდა, მუნიციპალური ფონდის მეშვეობით გაგრძელდება რეგიონული და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის მოწესრიგების სამუშაოები, ხოლო შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან შეთანხებით მხარეებში 81 ამბულატორია და გორის მუნიციპალიტეტის სოფელ შინდისში გადაუდებელი სამედიცინო დახმარების ცენტრი აშენდება.

ჩვენი მხრივ დავძენთ, რომ აღნიშნულის გარდა, სამინისტროს წლევანდელი მუშაობა არაერთი სხვა მიმართულებითაც წარიმართება, რომელთა შესახებ ლაპარაკი წინა პუბლიკაციებში გვქონდა.

ოთარ ტურაბელიძე

◎ ფარმაცევტულ ბაზარზე

უხარისხო ინდური მედიკამენტების შემოსვლის საფრთხე გაჩნდა

ძართულ ფარმაცევტულ ბაზარზე ინდური პროდუქციის შემოსვლის საფრთხე არსებობს. საფრთხეზე ექსპერტულ წრეებში ამაზე ღიად საუბრობენ. გარდა ამისა, ცოტა ხანში ქართულ ფარმაცევტულ ბაზარზე ჩინელები, რუსები, უკრაინელები და თურქები გამოჩნდებიან.

ჯანდაცვის კონსულტანტ თინა ტურძილაძის პროგნოზით, ამ პროცესის შეჩერება შეუძლებელია. იმის მიხედვით, თუ როგორ სტრატეგიას შეიმუშავებს ხელისუფლება, ბაზარს ან უხარისხო პროდუქცია წალეკავს, ან ეფექტიანად მოხდება მედიკამენტების ხელმისაწვდომობის ზრდა.

ორიოდე კვირის წინათ ინდური კომპანიების დელეგაცია საქართველოში ჩამოვიდა. ინდოელები ირწმუნებიან, რომ მათ საკუთარი ნიშა შექმნეს „ჯენერიქ მედიკამენტებში“, რომლებიც დაბალი ფასის, მაგრამ მაღალი ხარისხისაა. ქართული კომპანიების ნაწილი კი მიიჩნევს, რომ ინდური მედიკამენტები უხარისხო იქნება.

ამ ეტაპზე პარლამენტის ჯანდაცვის კომიტეტში ინდური „ჯენერიქ მედიკამენტების“ შესახებ მწირ ინფორმაციას ფლობენ. არც ის იციან, რომელი კონკრეტული ჯგუფი გეგმავს საქართველოში შემოსვლას.

არსებობს თუ არა ქართულ ფარმაცევტულ ბაზარზე უხარისხო პროდუქციის შემოსვლის საფრთხე?! ამის შესახებ For.ge ჯანდაცვის კონსულტანტს თინა ტურძილაძეს ესაუბრა.

— ძართულ ფარმაცევტულ ბაზარზე უხარისხო პროდუქციის გავრცელების ალბათობა რამდენად მაღალია?

— საქართველოში ფარმაცევტული ბაზარი უკონტროლოა, შესაბამისად, სუბსტანდარტულობის და კონტრფაქტული პროდუქციის გავრცელების რისკებიც ძალიან მაღალია.

— რას იტყვით ინდური კომპანიების ინტერესზე, რომელიც მსოფლიოს სწრაფად განვითარებად 17 ბაზარს შორისაა და, რომელიც სხვა ბაზრების ექსპანსიას ცდილობს?

— ინდური პროდუქცია ყველგანაა, მათ შორის, საქართველოშიც. ის, თუ რა ხარისხის ინდური პროდუქტი შევა ბაზარზე, ეს იმპორტიორი ქვეყნის საზრუნავია, ვინაიდან ამას ინდოეთი ფაქტობრივად არ აკონტროლებს. მსოფლიოში ფალსიფიცირებული წამლების 35% სწორედ ინდოეთზე მოდის, ის ამ მხრივ მაღალი რისკის მქონე სახელმწიფოა.

— რა საფრთხე შეიძლება მოიტანოს საქართველოში აღნიშნული პროდუქციის გავრცელებამ და ამ პროდუქციით ქართული ბაზრის გაჯერების შედეგად იმატებს მედიკამენტების ფასი?

— პრობლემა მარტო ინდოეთში არ არის, პრობლემა ჩვენშია, ვინაიდან, როგორც წესი, თითქმის ყოველთვის და ყველგან, ექსპორტი უფრო ნაკლებად, ან საერთოდაც არ კონტროლდება, ვიდრე იმპორტი. იმპორტის დროს მიმღები ქვეყნის რეგულაციაა დომინანტი. ამიტომ, თუ დავუშვებთ უხარისხო პროდუქციას, მაშინ გამოგზავნიან უხარისხოს.

— საფრთხის ასაცილებლად რისი გაკეთება შეუძლია ჯანდაცვის სამინისტროს?

— არსებული კონფიგურაციის სარეგულაციო მოდელით და ზოგადად, შიდა რესურსით სამინისტრო გლობალური ბაზრის ამ გამოწვევებს ვერ უპასუხებს, მას დასჭირდება ახალი სარეგულაციო მოდელი, სულ სხვა მეთოდიკებით, რომელიც უზრუნველყოფს კვალიფიციურ პროცედურებს. სამწუხაროდ, მარეგულირებელი რეზისტენტულია პროგრესული მოდელების, ეს გასაგებია - თავდაცვის ინსტიქტია მათი მხრიდან, მაგრამ ეს მიუღებელია, ვინაიდან საზოგადოებას სჭირდება მკაცრად მიზანზე ფოკუსირებული რეგულაცია და არა რეგულაცია მარეგულირებლის ძალაუფლებისთვის.

— თქვენი პროგნოზით, ქართულ ბაზარზე ჩინელები, რუსები, უკრაინელები, თურქები გამოჩნდებიან და ამ პროცესის შეჩერებაც წარმოუდგენელია. რატომ იზიდავთ მათ ეს ბაზარი და რა რისკები გველის ამ მხრივ?

— მსოფლიო ფარმაცევტულ ბაზარზე წამლის დანახარჯი ყოველწლიურად იზრდება, ზრდა განვითარებადი ბაზრების და გენერიკების ხარჯზე ხდება, ყველაზე სწრაფად იზრდება ჩინური ბაზარი, შემდეგ — ინდოეთის, ასევე, სწრაფად მზარდია რუსეთის, უკრაინის, თურქეთის ბაზრები. ეს ის ქვეყნებია, რომელთა გარემოცვაშიც ვართ. ისინი ყველგან შედიან, სადაც აკმაყოფილებენ სარეგულაციო მოთხოვნებს. გასაგებია, რომ პროდუქციის გაყიდვა იქ უფრო იოლია, სადაც არ კონტროლდება ბაზარი. ჩვენ ხომ ამ ქვეყნების რიგში ვართ.

— და ბოლოს, რომელი ქვეყნის ფარმაცევტული პროდუქცია ითვლება უნაკლოდ და მათი მოხმარების შედეგად რამდენად უსაფრთხოა ჩვენი მომხმარებლის სიცოცხლე?

— ფარმაციაში ყველაზე მკაცრი FDA-ს რეგულაციაა (ამერიკის), ამიტომაც ყველაზე გარანტირებულია ამერიკული წამლების უსაფრთხოება და ეფექტიანობა. მკაცრია EMEA-ს და იაპონიის რეგულაციებიც. ჯერ კიდევ წინა ხელისუფლების დროს საქართველოს მთავრობამ დაამტკიცა ქვეყნების ნუსხა, რომელთა მარეგულირებლებს მაღალი სანდოობის გამო ნდობა გამოუცხადა და მათ მიერ შიდა ბაზარზე დაშვებული პროდუქცია ქართული ბაზრისთვისაც მისაღებად აღიარა. ზოგადად ეს სწორია, რომ შეზღუდული რესურსების მქონე ქვეყანამ რაციონალურად გამოიყენოს თავისი რესურსი, მაგრამ აქ სხვა ძალიან მნიშვნელოვანი ტექნიკური ხარვეზებია, რაც არ შეიძლება არ გასწორდეს. პრობლემაა ის, რომ უფრო პოლიტიკურია და მასში შეტანილ ზოგიერთ მარეგულირებელს საკუთარ ქვეყანაშიც არ ენდობიან.

მანანა ნოზაძე

◎ ინტერესთა კონფლიქტი

„ხუდონჰესის დილემა“ და სპეციალისტთა არგუმენტები

„ხუდონჰესის“ საკითხზე ექსპერტებისა და დარგის სპეციალისტების მსჯელობა გრძელდება. „რედისონში“ გამართულ კონფერენციაზე ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის პროექტი ეკონომიკური და უსაფრთხოების კუთხით განიხილეს. კონფერენციას მიწვეული სტუმრების გარდა საკითხით დაინტერესებული პირებიც დაესწრნენ.

პროექტის მოსალოდნელ ეკონომიკურ ეფექტებზე პრეზენტაცია ეკონომიკის საკითხთა ექსპერტმა **ირაკლი ლექვინაძემ** გამართა, უსაფრთხოების თემაზე კი თადარიგის პოლკოვნიკმა **გიორგი თავდგირიძემ** ისაუბრა. თავდგირიძე „ხუდონჰესის“ პროექტის განხორციელების შემთხვევაში რეგიონში უსფრთხოებისა და თავდაცვისუნარიანობის ამაღლების აუცილებლობაზე საუბრობს და აღნიშნავს, რომ მესტიაში ერთი ქვეითი ბატალიონი მუდმივად უნდა იყოს.

კონფერენციაზე „ხუდონჰესის“ პროექტის მომხრეებსა და მოწინააღმდეგეებს შორის საკმაოდ ცხარე კამათი გაიმართა. ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის მომხრეები აქცენტს საქართველოს ენერგოდამოუკიდებლობასა და ეკონომიკის განვითარებაზე აკეთებენ, მოწინააღმდეგეები კი ამტკიცებენ, რომ პროექტის განხორციელება არ ღირს, რადგან მას ეკონომიკურ სარგებელზე მეტად ეკოლოგიური და სოციალური პრობლემების შექმნა შეუძლია.

ეკონომიკის საკითხთა ექსპერტი ირაკლი ლექვინაძე მიიჩნევს, რომ „ხუდონჰესის“ პროექტი კიდევ უფრო მნიშვნელოვანი მას შემდეგ გახდა, რაც რუსეთმა ენერგოპოლიტიკის ახალი დოქტრინა გამოაქვეყნა.

„დღეს საქართველოს არ აქვს საკმარისი ელექტროენერგია, გარკვეულ პერიოდებში იმპორტსაც ახორციელებს, ათვისებულია ჰიდრორესურსების მხოლოდ 18%, ამიტომ ამ პოტენციალის გამოყენება ძალიან მნიშვნელოვანია, ჩვენ თუ ამას არ გამოვიყენებთ, იგივე იქნება, აზერბაიჯანმა რომ უარი თქვას ნავთობის გამოყენებაზე.

რა თქმა უნდა, აქ არის გარემოსდაცვითი საკითხები, ეკოლოგიური საკითხები, სოციალური ფაქტორები. თუ თემას პოლიტიკურ კონტექსტს მოვაცილებთ და სხვადასხვა ინტერესის მქონე ჯგუფები დაეხსნებიან ამ საკითხს, ვფიქრობ, ადგილობრივ მოსახლეობასთან დიალოგის პრობლემა არ იქნება,“ — განუცხადა for.ge-ს ირაკლი ლექვინაძემ. მისივე თქმით, „ხუდონჰესის“ პროექტზე გადაწყვეტილება სახელმწიფომ უნდა მიიღოს და ამით ეკონომიკურ განვითარებასა და ენერგოდამოუკიდებლობის ზრდას შეუწყოს ხელი.

ეკონომიკის დოქტორი, „გარემოს დაცვისა და მდგრადი განვითარების ქართული ცენტრის“ წარმომადგენელი **დავით ადეიშვილი** კი „ხუდონჰესის“ პროექტს მდგრადი განვითარების კუთხით განიხილავს და აცხადებს, რომ პროექტი მაშინაა გამართლებული, თუ ის სოციალური, ეკოლოგიური და ეკონომიკური ფაქტორების კვეთაზეა დაფუძნებული.

„ძალიან თვალნათელია სოციალური პრობლემები — საუკუნეების განმავლობაში არსებული სოციუმი უნდა დაიშალოს, ფაქტობრივად, განადგურდეს, რადგან გადასახლება სულ სხვა შედეგებს იწვევს. უკვე დარღვეულია ადამიანის უფლებები, გაურკვეველია, რა კომპენსაციას მისცემენ ადგილობრივებს, სად გადაასახლებენ.

პროექტს დასჭირდება 1500 ჰექტარი, რაც საქართველოს ტერიტორიისთვის არცთუ მცირე ნაწილია, მით უმეტეს, ამ რეგიონისთვის, იქ არის ტყე, საძოვრები, სახნავი და რა თქმა უნდა, კარმიდამოები სოფლის ინფრასტრუქტურით. ზიანდება ეკოსერვისები, რასაც მდინარე, ტყე წარმოშობს.

რაც შეეხება ეკონომიკურ მხარეს — მისი ღირებულება საქართველოს ენერგეტიკისთვის არის მიზერი. კომპანია იძლევა გარანტიას, რომ 134 მილიონ კილოვატსაათის ენერგიას მიაწვდის საქართველოს ენერგეტიკას, დანარჩენს თავად გაყიდის. 134 მილიონი კოლოვატსაათი საქართველოში ზამთრის პერიოდში მხოლოდ 4 დღის მოხმარებას შეადგენს. დღევანდელი ღირებულებით, პროექტი, საშუალოდ, ბიუჯეტისთვის წელიწადში 30 მილიონ ლარზე ნაკლებს იძლევა, რაც, დაახლოებით, ორი მცირე საწარმოს შემოსავალს უდრის“, — განმარტავს for.ge-სთან დავით ადეიშვილი.

პოეტი **ერეკლე საღლიანი** კი აქცენტს „ხუდონჰესის“ ალტერნატივებზე აკეთებს. საღლიანი მიიჩნევს, რომ უმჯობესი იქნება, თუ სვანეთში რამდენიმე შედარებით მცირე ზომის ჰესი აშენდება.

„შეიძლება ამ პრობლემის გადაჭრა ისე, რომ სოფლები არ ავყაროთ და სალოცავები არ ჩავძიროთ. იმ ენერგიის მისაღებად, რასაც ხუდონჰესი გამოიმუშავებს, მე როგორც ვიცი, 4-ნ „ლაჯანურჰესისხელა“ ჰესია საჭირო, გავითვალისწინოთ ეს ყველაფერი. უნდა აღდგეს ნდობა მოსახლეობას, ენერგეტიკოსებსა და ინვესტორს შორის. ნუ ვიქნებით გამობმული ერთ ინვესტორზე.

დავსხდეთ, მოვილაპარაკოთ ისე, რომ არც ერთი სოფელი არ ჩავძიროთ, აშენდეს რამდენიმე ჰესი თუნდაც, მივდივართ ამ მსხვერპლზე სვანები, ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე ვაკეთებთ ამას. მაგრამ სვანეთს წყალქვეშ ვერავის ჩავაძირინებთ, იმიტომ, რომ უსვანეთო საქართველო საქართველო აღარ არის“, — აცხადებს ერეკლე საღლიანი.

მისივე თქმით, უნდა დაზუსტდეს „ხუდონჰესის“ პროექტის ფინანსური მხარე და გამჭვირვალე უნდა იყოს ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რა კონკრეტულ სარგებელს მიიღებს საქართველო და სვანეთის მცხოვრებლები.

„საქართველოს ინფრასტრუქტურული პროექტების ინიციატივის“ წარმომადგენელი **ლევან კალანდაძე** კი განმარტავს, რომ „ხუდონჰესის“ პროექტის ფინანსური ნაწილი საერთაშორისო ჯგუფის მიერ არის მომზადებული და ყველა დეტალი სათანადოდ არის გაწერილი.

„ყველა ფინანსური დეტალი არის გაწერილი, მაგრამ ეს არის პროექტის საიდუმლო ნაწილი, შესაბამისად, არც ერთ გარეშე პირს არ მიუწვდება ხელი ამ დოკუმენტზე ინვესტორისა და სახელმწიფოს გარდა. პროექტის გარკვეული ნაწილი, რაც ბიუჯეტს ეხება, გასაჯაროებულია. ფინანსური საკითხები კომპეტენტური საერთაშორისო ორგანიზაციების გაანგარიშებულია და მე პირადად არავითარი საფუძველი არ მაქვს, რამე ტიპის ეჭვი შევიტანო ფინანსური კვლევის ნაწილში“, — აცხადებს ლევან კალანდაძე.

„საქართველოს ინფრასტრუქტურული პროექტების ინიციატივა“ „ხუდონჰესის“ პროექტზე მსგავსი ტიპის კონფერენციებს მომავალშიც გეგმავს.

მადლენა მაჭარაშვილი

◎ ვითარება

თურქ ინვესტორს ფული შემოაკლდა?

ბოლო დროს საკმაოდ გახშირდა შემთხვევა! როდესაც უცხოელი კონტრაქტორები, ინვესტორები მათ ობიექტებზე დასაქმებულ საქართველოს მოქალაქე მუშებს დიდი დაგვიანებით, ზოგჯერ კი საერთოდ არ უნაზღაურებენ გაწეული შრომის საფასურს. ამას თან სდევს აღშფოთებულთა საპროტესტო აქციები, გაფიცვები, მეპატრონეებსა და ადმინისტრაციებს პასუხად გაზეპირებული ფრაზები აქვთ, — არ მოგწონთ შრომის პირობები, ანაზღაურება, წადით! ანდა მკვახე ტონით აფრთხილებენ პროტესტანტებს, თუ დროზე არ დაუბრუნდებით სამუშაო ადგილებს, იძულებული გავხდებით კონკურსი გამოვაცხადოთ და თქვენს მაგივრად სხვები მივიღოთო. ხელისუფლება ცდილობს, ნაკლებად ჩაერიოს დამსაქმებელთა და დასაქმებულთა დავაში. ამგვარ შემთხვევებში დასავლეთის ქვეყნებში წინა პლანზე გამოდიან პროფკავშირები, რომლებიც ძირითადად მუშა-მოსამსახურეთა ინტერესების დამცველებად გვევლინებიან. ბოლო დროს მსგავსი ფუნქციების თავისთავზე აღება ჩვენმა პროფესიულმა კავშირებმაც ითავეს და რამდენჯერმე — წარმატებითაც. ალბათ, ჩვენს მიერ მოყვანილ ფაქტებზე მოუწევს რობერტ პეტრიაშვილის ორგანიზაციას გარკვეული გარჯა, რადგანაც სხვა გამოსავალი ჯერჯერობით არ ჩანს.

რეგიონული მნიშვნელობის ჰესის „ფერვან ჰესის“ სამუშაოების საინვესტიციო ღირებულება 177 მლნ დოლარია. სამუშაოების წარმოება დაევალა ტენდერში გამარჯვებული თურქულ კომპანია „ანდულუ გრუფის“ ერთ-ერთ წევრს „ნუროლ ჯორჯიას“, რომელმაც სამშენებლო სამუშაოებისათვის დაიქირავა 5 ადგილობრივი სუბკონტრაქტორი კომპანია. სწორედ ისინი აცხადებენ, რომ ობიექტებზე მომუშავე 100 პიროვნებას უკვე თვეების განმავლობაში არ მიუღია კუთვნილი ხელფასი.

ამ 5 კონტრაქტორი კომპანიიდან ერთ-ერთია კომპანია „კავკაზ ბეტონი“, სადაც აცხადებენ, რომ გამოუვალი ეკონომიკური მდგომარეობისა და ფირმიდან მუდმივი იგნორირების შედეგად, მათმა ერთ-ერთმა თანამშრომელმა პირდაპირ მშენებარე ობიექტზე სცადა თავის დაწვა. კომპანიების ერთობლივ განცხადებაში ნათქვამია, რომ მუშახელისათვის თვეობით გაუცემელი ხელფასების გამო, იძულებული არიან — შეაჩერონ სამშენებლო საქმიანობა.

არადა ექსპლოატაციაში შესვლის შემდეგ „ფარვინ ჰესიდან“ იგეგმებოდა უშუალოდ რეგიონის ელექტროენერგიით მომარაგების მნიშვნელოვანი გაუმჯობესება. ჰესის გამომუშავებული ელექტროენერგიის სიმძლავრე უნდა იყოს 78 მეგავატი, წლიური გამომუშავების სიმძლავრე კი 420 მლნ კვტ/სთ.

მუშა-მოსამსახურეთა და სუბკონტრაქტორი 5 ფირმის ხელმძღვანელთა სერიოზულ განცხადებებს ჯერაც არ გამოხმაურებიან როგორც ინვესტორი „ანადოლუ გრუფიდან“, ასევე მისი წევრი კომპანია „ნუროლ ჯორჯიიდან“.

უხელფასოდ დარჩენილნი, აქციებისა და გაფიცვების გარდა, აპირებენ მათ ხელთ არსებული ყველა შესაძლებლობების გამოყენებას და დახმარებისათვის ხელისუფლებას, სამართალდამცავ ორგანოებს, სახალხო დამცველსა და პროფესიულ კავშირებსაც მიმართონ.

ზაზა ბილიხოძე

◎ კაკალ გულში

წერტილოვანი ფრაზები

● **რა ჯანდაბა გინდათ, გაგვაგებინეთ !!!**

არა რა?! ნაცების გაბლატავებისთვის, ეს ვითომ ახალი, არა და კარგად ნახმარი მთავრობა, ღირსი არ არის, დაამხო ?!!!

ამას გარდა ბევრი მიზეზიც არსებობს: 22 000 მოწმე საფრთხეში ჩააგდო, ღირსებაშელახულ საზოგადოებას ყოველდღე სულში აფურთხებს, სამოქალაქო დაპირისპირების რეალურ საფრთხეებს ქმნის და რა ვიცი კიდევ — ათას იდიოტობას სჩადის, მაგრამ ე.წ. მოდულის შენობის წინ „უკრაინულად“, ნაც-ნაბიჭვრების მხრიდან საბურავების დაწვამ, თუთბერიძის შეურაცხყოფამ და ონიანის გირაოთი გამოშვებამ.....

უკვე „ვ ს ი ო ო ო“ ...

რა ჯანდაბა გინდათ, გაგვაგებინეთ!

● **პირველყოფილი უფლებადამცველები — ზეზვა ხატიაშვილი VS მზია თუთბერიძე!**

● **ისე, რა მაგარი ხელისუფლება გვყავს. ერთი რეზინა დაწვეს და ონიანი მაშინვე გამოუშვეს. აბა იანუკოვიჩივით ხომ არ დაანგრევინებდნენ თბილისის ცენტრს და დაშლიდნენ საქართველოს!**

გენაცვალეთ სახელმწიფოებრივ აზროვნებაში! (ვაი თქვენს პატრონს).

● **რაზე მეცინება იცით? არა და რა მაცინებს...**

სერიოზული სახეებით, რომ გვმოძღვრავენ — ოპოზიცია — პოზიცია...

არ ვიცნობდეთ მაინც.

● **ონიანი თავისუფალია, თუთბერიძეს კუდი მოსძვრა, ირმა ნადირაშვილი — აბანოშია! გაუმარჯოს დამოუკიდებელ საქართველოს! ვაშაااااა...**

● **ლამის რუსებს ვთხოვო ერთი 200 მეტრი (ახლა, ქვეტექსტებით და ეჭვებით არ დაუწყოთ, ჩემს ტექსტს თვალიერება) მავთულხლართები, ქუთაისში პარლამენტს შემოვარტყათ მაშინ, — შიგ, რომ არიან და აღარასოდეს გამოვუშვათ... „პერედაჩს“ არ მოვაკლებთ.**

● **თავისუფლება ზონდერებს!**

შეეშვით, ვაბშე რა გინდათ მაგ ხალხისგან?

● **ახლა რომ ხალხი ვვარგოდეთ, უნდა ავიღოთ მაგალითი უკრაინისგან. აშშ ვერაფერს იტყვის, მაგათი მოწყობილია და იმიტომ. ჰოდა, უნდა დადგეს ერი. შესძახოს არაფრისგამკეთებელ მთავრობას, რომ შექმნას კომისია და აჩქარებული წესით გამოიძიოს საქმეები. უმალ დამთავრდება ნაცუძრაობა.**

ამოკრიბა
გია გაბრიჭიძემ

თუ საქართველოს, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის კვლავ ერთად ყოფნა მოუნდებათ, არ აქვს მნიშვნელობა რა ფორმით, ამ პროცესში რუსეთი არ ჩაერევა

მომავალ კვირაში თბილისში რუს ექსპერტთა და მეცნიერთა ჯგუფი ჩამოვა, რომლებიც ქართველ კოლეგებთან რუსულ-ქართული ურთიერთოეების პერსპექტივებს განიხილავენ. „ინტერპრესნიუსი“ ამ ჯგუფის ერთ-ერთ წევრს, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის დირექტორს, რუსეთის საერთაშორისო საქმეთა საბჭოს სამეცნიერო საბჭოს წევრს ვიტალი ნაუმკინს ესაუბრა.

— ბატონო ვიტალი, იმის გათვალისწინებით, რომ ბოლო 20 წლის განმავლობაში რუსულ-ქართული ურთიერთობები საკმაოდ რთული იყო და 2008 წლის აგვისტოს შემდეგ კიდევ უფრო დამძიმდა, თქვენი აზრით, როგორი შეიძლება იყოს რუსულ-ქართული ურთიერთობების დღის წესრიგი?

— ჩემი აზრით, ეს დღის წესრიგი შეიძლება ეფუძნებოდეს იმ რეალურ ძვრებს, რომლებიც ორი ქვეყნის ურთიერთობებში უკვე მოხდა. მხედველობაში მაქვს რუსულ ბაზარზე ქართული პროდუქციის შესვლა, სატრანსპორტო მიმოსვლის აღდგენა, ვიზების გაცემის გამარტივება და, რაც მთავარია, ურთიერთობებს შორის კლიმატის მნიშვნელოვანი გაუმჯობესება, რისი წარმოდგენა ერთი წლის წინაც კი, შეუძლებელი იყო.

ვფიქრობ, რომ დაიწყო გარკვეული პროცესი. უდავოა, მას არ შეუძლია გადაწყვიტოს მთავარი და ყველაზე საკვანძო საკითხები, რომლებიც ორ ქვეყანას აქვს და რომლებიც აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის პრობლემებს უკავშირდება.

ვფიქრობ, არ არის საჭირო მხოლოდ ამ საკითხებით შემოფარგვლა და თვალების იმაზე დახუჭვა, რომ ამ საკითხზე მხარეებს განსხვავებული შეხედულებები აქვთ. გასაგებია, რომ საქართველო არ შეეგუება ტერიტორიების დაკარგვას და არ შეუძლია აღიაროს მათი დამოუკიდებლობა, მაგრამ ისიც ასევე გასაგები უნდა იყოს, რომ რუსეთი მათ აღიარებას არ გეგმავდა, მაგრამ 2008 წლის აგვისტოს შემდეგ გარკვეულ ვითარებაში აღიარა ამ ორი ტერიტორიის დამოუკიდებლობა; ახლა უკან ვერ დაიხევს. მიუხედავად ამისა, ამ პრობლემების გადაწყვეტის შესაძლებლობების განხილვა შეიძლება.

ჩემი აზრით, უწინარესად, ალბათ, შესაძლებელია იმაზე მსჯელობა, თუ რა ვითარებაში შეიძლება მიიღოს რუსულმა საზოგადოებრივმა აზრმა ასეთი პოზიცია — თუ ოდესმე სამხრეთ კავკასიის რესპუბლიკები ერთმანეთს იმდენად დაუახლოვდებიან, იმდენად აღარ ექნებათ ერთმანეთის შიში, დაივიწყებენ იმ პრობლემებს, რომლებმაც ისინი ერთმანეთისგან გაყო, შესაძლებლად ჩათვლიან კონფედერაციული მოწყობის საფუძველზე ერთმანეთთან ისევ ისე დაახლოებას, რაც იმის ნაწილობრივ აღდგენად აღიქმება, რაც მანამდე იყო, ეს რუსული საზოგადოებრივი აზრისთვის მისაღები იქნება. მე ახლა ვსაუბრობ საზოგადოებრივ აზრზე, რაზეც ექსპერტებმა შეიძლება იმსჯელონ.

თუ ხვალ საქართველოს, აფხაზეთს და სამხრეთ ოსეთს კვლავ ერთად ყოფნა მოუნდებათ, არა აქვს მნიშვნელობა რა ფორმით, ამ პროცესში რუსეთი არ ჩაერევა. თუ მათ შემოუერთდებიან სომხეთი და აზერბაიჯანი და მთიანი ყარაბაღის პრობლემას გადაწყვეტენ, რუსეთი მხოლოდ მიესალმება.

— უკაცრავად, ბატონო ვიტალი, თქვენ საქართველოს კონფედერაციულ მოწყობაზე საუბრობთ, თუ მთლიანად სამხრეთ კავკასიის ფედერაციულ თუ კონფედერაციულ მოწყობაზე?

— მნიშვნელობა არა აქვს, კავკასიის ფედერაცია იქნება ეს, თუ — ქართული სახელმწიფო ახალი ფორმით ფედერაციის თუ კონფედერაციის საფუძველზე. ეს რუსეთმა კი არა, ამ ტერიტორიაზე მცხოვრებმა ხალხმა უნდა გადაწყვიტოს. საქართველომ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთისთვის მიმზიდველობა დაკარგა. რატომ არ შეიძლება განვიხილოთ სიტუაცია, როცა, შესაძლოა, ვითარება ძირეულად შეიცვალოს. ამ საკითხზე აზრთა გაცვლა-გამოცვლა შესაძლებელია. დასავლეთის ზოგიერთი ქვეყნები იმავე აფხაზეთთან ამყარებენ ეკონომიკურ ურთიერთობებს და თანამშრომლობენ მასთან. ვითარება იცვლება, თავად საქართველო იხრება იმისკენ, რომ აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთთან თავიდან ააგოს ურთიერთობები და ამ გზით მიაღწიოს ამ ტერიტორიებზე სუვერენიტეტის დაბრუნებას.

მეორე — არსებობს გარკვეული ფორმულები. ამგვარი კონფლიქტების მაგალითებზე ჩვენ ვიცით — თუ არსებობს კეთილი ნება, რომ რუსეთსა და საქართველოს შორის ურთიერთობები კონსტრუქციულად განვითარდეს, ვფიქრობ, საექსპერტო დონეზე ისინი უნდა იქნას განხილული. ჩვენ ხომ პოლიტიკოსები არ ვართ, ჩვენ ექსპერტები ვართ და რატომ არ შეიძლება ვისაუბროთ ამგვარ, გადადებულ საკითხებზე, თუ სიტუაცია იმგვარია, რომ მათი დიპლომატიური გზით გადაწყვეტა შეუძლებელია. მხარეები შეურიგებელ პოზიციებზე დგანან, მხედველობაში მაქვს, ერთი მხრივ, აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი და, მეორე მხრივ, საქართველო. ასეთ სიტუაციაშიც კი საჭიროა გადადებულ საკითხებზე საუბარი. გადადებულმა საკითხებმა არ უნდა შეუშალოს ხელი რუსეთსა და საქართველოს შორის ნორმალური ურთიერთობების განვითარებას. ჩვენ გვაქვს ეკონომიკური ინტერესები, გვაქვს გარკვეული კონფესიური და ცივილიზაციური სიახლოვე. ჩვენ გვაქვს ერთი საფრთხეები, იგივე ექსტრემიზის საფრთხე, რომელიც სამხრეთიდან მოდის. სამხრეთის მიმართულებაზე არსებობს ექსტრემიზმის ტალღის საფრთხე, რომლის დროსაც, შესაძლოა, საფრთხეში აღმოჩნდეს მართლმადიდებელი მოსახლეობა. ამგვარი საფრთხე კიდევ უფრო გაიზრდება ავღანეთიდან ამერიკელების გასვლის შემდეგ. ამიტომ, რატომ არ შეიძლება ვიფიქროთ იმაზე, რომ ერთობლივად გავუწიოთ წინააღმდეგობა ამგვარ საფრთხეებს?

ასე რომ, არსებობს სივრცე ამგვარი საკითხების განხილვისათვის და არ უნდა ვიფიქროთ იმაზე, რომ ექსპერტებს პოლიტიკოსების ჩანაცვლება შეუძლიათ.

— აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის თემას ჩვენ კიდევ დავუბრუნდებით. საქართველოს ახალმა ხელისუფლებამ არაერთხელ განაცხადა, რომ ქვეყანას გაკეთებული აქვს ევროპული არჩევანი. ვაშინგტონში ვიზიტისას საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა განაცხადა, რომ „საქართველო თავის ევროპულ არჩევანს არ გადახედავს“. უკრაინაში განვითარებული პროცესების შემდეგ, მას შემდეგ, რაც რუსეთმა აიძულა უკრაინა, უარი ეთქვა ევროკავშირთან შეთანხმების ხელმოწერაზე, რასაც კიევში ტრაგიკული პროცესების განვითარება მოჰყვა, საქართველოსთვის ყველაზე მნიშვნელოვანი კითხვა ასეთია — ამ ეტაპზე, სავარაუდოდ, როგორ პოლიტიკას გაატარებს კრემლი საქართველოსთან ურთიერთობაში?

— დავიწყებ იმით, რომ მე არ ვსაუბრობ კრემლის სახელით და წინასწარმეტყველი არ ვარ. მე ანალიტიკოსი და პოლიტოლოგი ვარ და ამიტომ, შემიძლია, გითხრათ, რომ კატეგორიულად არ ვეთანხმები უკრაინის პროცესების თქვენეულ შეფასებას. მიმაჩნია, რომ რუსეთს აბსოლუტურად არაფერი არ გაუკეთებია, რომ უკრაინისთვის რაიმეში შეეშალა ხელი.

დღეს ამ თემაზე საუბარი მქონდა ამერიკელ კოლეგებთან. თუ შევადარებთ ერთმანეთს, როგორ იქცეოდა რუსეთი და დასავლეთი უკრაინაში, ორ ძალიან განსხვავებულ სურათს მივიღებთ.

რუსეთი არ ჩარეულა კიევის პროცესებში. უკრაინაში არ ყოფილან ჩვენი აგიტატორები, მშვიდად იქცეოდა ჩვენი პრესა, ოპოზიციის მიმართ მტრული განცხადებები არავის გაუკეთებია. მეტიც, ტიმოშენკო იმიტომ დაზარალდა, რომ თავის დროზე რუსეთთან გაზის მიღებაზე შეთანხმება გააფორმა. პარადოქსალურია, მაგრამ ეს ხომ ფაქტია. ამიტომ ვერ დაგეთანხმებით, რომ რუსეთმა უკრაინის მოვლენებში მონაწილეობა მიიღო. ჩვენი ელჩი უკრაინაში ზურაბოვი საერთოდ არსად ჩანდა, მისი ხმაც კი არავის გაუგონია.

ერთადერთი რაც იყო, გახლდათ ის, რომ რუსეთი უკრაინას დახმარებას ჰპირდებოდა. ამას ხომ დასავლეთიც აკეთებდა. დასავლეთი დღეს ჩვენ გვეუბნება — მოდით, ერთად დავეხმაროთ უკრაინას. ალბათ, ასეც იქნება, როცა 25 მაისის არჩევნების შემდეგ უკრაინას ლეგიტიმური პრეზიდენტი ეყოლება.

ამის გარდა, ერთადერთი, რაც რუსეთმა გააკეთა, იყო ის, რომ დროებით დახურა უკრაინასთან საზღვარი. დიახ, რუსეთმა თქვა — თუ უკრაინა გააფორმებს ევროკავშირთან შეთანხმებას, რუსეთი დაიცავს თავის ბაზარს და შეცვლის საბაჟო წესებს რუსეთ-უკრაინის საზღვარზე. სხვაგვარად რუსეთში უკრაინის გავლით ევროპიდან შემოვიდოდა საქონელი და რუსეთის ბიუჯეტი გადასახადების სახით საკმაოდ დიდ შემოსავალებს დაკარგავდა.

— რაც შეეხება ჩემი კითხვის მეორე ნაწილს?

— ვფიქრობ, რომ უკრაინული მოვლენები რუსეთის მიერ საქართველოს მიმართ გასატარებელ პოლიტიკაზე არანაირად არ აისახება. მხედველობაში მაქვს ის, რისი გაკეთებაც საქართველოს სურს. საქართველო ხომ არა დგას იმგვარი არჩევანის წინაშე, როგორი არჩევანიც უკრაინას ჰქონდა — საბაჟო კავშირი ან ევროპასთან ურთიერთობების გაღრმავება. რამდენადაც მესმის, ევროპულ ვექტორთან დაკავშირებით საქართველოს პოზიცია ერთმნიშვნელოვანია. აკეთეთ და შეგერგოთ. ვინ შეგიშლით ხელს?

ერთადერთი, რაც არ მოსწონს რუსეთს, ეს საქართველოს ნატოში გაწევრების იდეაა. ამაში გასაკვირი არაფერი უნდა იყოს, ვინაიდან რუსეთს არ სურს, რომ მის საზღვრებთან ახლოს გაჩნდეს ნატოს ბაზები. ცხადია, რომ ამგვარი პერსპექტივა რუსეთს არ შეიძლება მოსწონდეს.

— თქვენი აზრით, როგორ აისახება უკრაინული პროცესები პოსტსაბჭოთა სივრცეში რუსეთის საგარეო პოლიტიკაზე?

— ჯერ ამის თქმა ძნელია. ახლა ტაიმაუტია აღებული. ყველა იმას აკვირდება, თუ რით დასრულდება უკრაინაში დაწყებული პროცესები. ვფიქრობ, რომ მოხდება პირიქით, გაძლიერდება საბაჟო კავშირი და გაძლიერდება რუსეთ-ბელორუს-ყაზახური ევრაზიული კავშირი. ჯერ უკრაინის გარეშე, რადგან ჩვენ არ ვიცით, ვინ მოვა უკრაინის ხელისუფლებაში არჩევნების შემდეგ.

ჩვენ გვაქვს ერთი სერიოზული პრობლემა, რომელიც უკრაინაში განვითარებული პროცესების შედეგად გაჩნდა და არა პოლიტიკურ, არამედ ეკონომიკურ ხასიათს ატარებს. რუსული წარმოება, მათ შორის სამხედრო წარმოება დამოკიდებულია უკრაინის საწარმოებში დამზადებულ დეტალებზე, ძრავებსა და სხვადასხვა სახის ნაწარმზე. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ, თუ უკრაინა სწრაფი ტემით დაიწყებს ევროკავშირთან დაახლოებას, ჩვენ იძულებული ვიქნებით, მივიღოთ პროტექციონისტული ზომები და, ალბათ, დავიწყებთ იმ ნაწარმის რუსეთში შექმნას, რომელსაც უკრაინის ქარხნები ქმნიან და ჩვენს საწარმოებს ამარაგებენ. ასეთ შემთხვევაში უკრაინაში საწარმოები დაიხურება. ეს ნორმალური და ბუნებრივი პროცესია.

— ანუ მიიჩნევთ, რომ კიევში განვითარებული დრამის მიუხედავად, ევრაზიული კავშირის შექმნის იდეა კვლავ კრემლის დღის წესრიგის აქტუალური თემაა?

— დიახ, სწორედაც რომ ასე ვფიქრობ. უკრაინასთან თუ უკრაინის გარეშე ევრაზიული კავშირის შექმნა გაგრძელდება.

— ქართული წარმოშობის რუსი მწერლის ბორის აკუნინის აზრით, „უკრაინაში განვითარებული მოვლენების გამო პრეზიდენტი პუტინი ძალიან შეშინებულია. ში ში კი ცუდი მრჩეველია.“ რამდენად დიდია ყირიმის გამო უკრაინასა და რუსეთს შორის სამხედრო დაპირისპირების ალბათობა?

— ამგვარი ალბათობა ნულის ტოლია. რუსეთი მკაცრად იცავს იმ შეთანხმებებს, რომლებიც ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებთან იყო მიღწეული მათი საზღვრების აღიარების საკითხებში.

მიაქციეთ ყურადღება იმას, რომ 2008 წლის აგვისტომდე სამხრეთ ოსეთი მოსკოვისაგან ამ რეგიონის რუსეთის შემადგენლობაში მიღებას და ჩრდილოთ ოსეთთან გაერთიანებას ითხოვდა, მაგრამ მოვლენათა განვითარების ასეთ სცენარს რუსეთი კატეგორიულად გამორიცხავდა სწორედ იმიტომ, მოსკოვი ცნობდა რუსეთსა და საქართველოს შორის აღიარებულ საზღვრებს.

დღეს ჩვენ ყირიმი იმის გამო გვაწუხებს, რომ იქ ირღვევა რუსი მოსახლეობის უფლებები. ამ საკითხის მოსაგვარებლად განიხილება პოლიტიკური პარამეტრები ჩვენი თანამემამულეებისა და ერთმორწმუნე რუსი მოსახლეობისათვის დახმარების აღმოსაჩენად და ეს ნორმალურია. თუ ეს ხალხი მოისურვებს რუსეთში საცხოვრებლად გადასვლას, მათ სახელმწიფო მატერიალურად დაეხმარება. აკუნინი შესანიშნავი მწერალია. მე იგი ძალიან მიყვარს, ჩვენ ერთ უმაღლეს სასწავლებელში ვსწავლობდით. ვერ გეტყვით, შესაძლოა, იგი საკმარისად გამოძინებული არ იყო, როცა ამგვარი რამ განაცხადა, ანდაც თავს ცუდად გრძნობდა.

— მარტის პირველ რიცხვებში პრაღაში კარასინ-აბაშიძის რიგით მე-6 შეხვედრა გაიმართება. არაერთხელ ითქვა, რომ ამ შეხვედრაზე მხარეთა წარმომადგენლები რუსეთისა და საქართველოს პრეზიდენტების შესაძლო შეხვედრის შესაძლებლობას განიხილავენ. საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ თუ ამგვარი შეხვედრა მართლაც გაიმართა, მასზე ქართული მხარე პრეზიდენტ პუტინის წინაშე ყველაზე რთული აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის პრობლემურ საკითხებს დააყენებს. თქვენი აზრით, რამდენად მზადაა დღეს რუსული მხარე, ქართულ მხარესთან განიხილოს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთთან დაკავშირებული საკითხები?

— სოჭში რუსეთის პრეზიდენტმა ქართულ კოლეგასთან სავარაუდო შეხვედრაზე განაცხადა — „რატომაც არა“, ეს ნიშნავს, რომ იგი ამგვარი შეხვედრისთვის ღიაა. ვფიქრობ, რომ ამგვარი შეხვედრა დიპლომატებმა კარგად უნდა მოამზადონ. მაგრამ, თუ რომელიმე მხარე, რუსული ანდაც ქართული შეხვედრის გამართვამდე წინაპირობებს დააყენებს, ჩემი აზრით, ამგვარი მიდგომა მიუღებელია. სწორიც არ იქნება საკითხის ასე დაყენება.

კობა ბენდელიანი

◎ ᲕᲘᲠᲢᲣᲐᲚᲝᲑᲐ ᲗᲣ ᲠᲔᲐᲚᲝᲑᲐ?

ᲒᲐᲓᲐᲢᲠᲘᲐᲚᲔᲑᲐ — ᲣᲛᲪᲙᲘᲪᲔᲑᲣᲚᲔᲑᲝ ᲑᲠᲐᲚᲓᲔᲑᲔᲑᲘ

ᲛᲘᲮᲔᲘᲚ ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘ 2007 ᲬᲚᲘᲡ ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲨᲘ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲣᲚ ᲛᲝᲕᲚᲔᲜᲔᲑᲡ ᲘᲡᲡᲔᲜᲔᲑᲡ. ᲢᲔᲚᲔᲙᲝᲛᲞᲐᲜᲘᲐ „ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲘ 2“-ᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲪᲔᲛᲐ „ᲐᲠᲩᲔᲕᲐᲜᲨᲘ“ ᲛᲐᲜ ᲒᲐᲜᲐᲪᲮᲐᲓᲐ, ᲠᲝᲛ ᲜᲝᲔᲛᲑᲠᲘᲡ ᲛᲝᲕᲚᲔᲜᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐᲛᲓᲔ, ᲛᲐᲡ ᲓᲡᲗ-Ს ᲔᲠᲗ-ᲔᲠᲗᲘ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲚᲘᲓᲔᲠᲛᲐ ᲣᲗᲮᲠᲐ, ᲠᲝᲛ ᲑᲐᲓᲠᲘ ᲞᲐᲢᲐᲠᲙᲐᲪᲘᲨᲕᲘᲚᲘ ᲡᲘᲢᲣᲐᲪᲘᲘᲡ ᲐᲠᲔᲕᲐᲡ ᲪᲓᲘᲚᲝᲑᲓᲐ. ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘ ᲐᲛᲑᲝᲑᲡ, ᲠᲝᲛ ᲤᲔᲓᲔᲠᲐᲚᲣᲠᲛᲐ ᲡᲐᲒᲐᲛᲝᲫᲘᲔᲑᲝ ᲑᲘᲣᲠᲝᲛ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐᲡ ᲒᲐᲛᲝᲣᲒᲖᲐᲕᲜᲐ ᲨᲔᲢᲧᲝᲑᲘᲜᲔᲑᲐ, ᲠᲝᲛ „ᲤᲔ-ᲔᲡ-ᲑᲔᲡ“ ᲚᲘᲓᲔᲠᲔᲑᲘ ᲓᲐ „ᲙᲐᲜᲝᲜᲘᲔᲠᲘ ᲥᲣᲠᲓᲔᲑᲘ“ ᲔᲠᲔᲕᲐᲜᲨᲘ ᲩᲐᲕᲘᲓᲜᲔᲜ ᲑᲐᲓᲠᲘ ᲞᲐᲢᲐᲠᲙᲐᲪᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲮᲛᲐᲠᲔᲑᲚᲐᲓ.

როგორც ცნობილია, მაშინ პროკურატურამ ოპოზიციის ლიდერების და ბადრი პატარკაციშვილის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე აღძრა ბრალდებით — „შეთქმულება სახელმწიფოს წინააღმდეგ“. მაშინ ერთ-ერთი მთავარი მტკიცებულება პატარკაციშვილის მიერ გაკეთებული განცხადება და საპროტესტო აქციაზე სიტყვით გამოსვლა იყო. მიმართავს თუ არა ბიზნესმენის ოჯახი სააკაშვილის წინააღმდეგ პროკურატურას, ეს ამ დრომდე უცნობია. ჩვენ შევეცადათ პატარკაციშვილებთან დაკავშირებას, თუმცა, ეს შეუძლებელი აღმოჩნდა.

სააკაშვილის ბრალდებას ბიზნესმენის ოჯახის ახლობელი გია ხუხაშვილი პასუხობს, რომლის განცხადებით, მიხეილ სააკაშვილი თავის პრობლემებს ყოველთვის შეთქმულების თეორიას აბრალებდა. ხუხაშვილი იმედოვნებს, რომ ცრუ დასმენის ბრალდებით პატარკაციშვილების ოჯახი მიმართავს პროკურატურას, დაიწყოს გამოძიება სააკაშვილის წინააღმდეგ.

„ეს, რომ მოგონილი თემებია, თვითონაც კარგად იცის. საერთოდ, სააკაშვილის განცხადება იმდენად არასერიოზულია, რომ რთულია კომენტარის გაკეთება. თუ კი ასეთი დანაშაულის შესახებ ჰქონდა ინფორმაცია სამი თვით ადრე, რატომ არ დაიჭირეს მაშინ პატარკაციშვილი? პროკურატურაც და სასამართლოც მის ხელში იყო.

ყველას გვახსოვს 2007 წელს ნიკა გვარამიას გამოსვლები, სატელევიზიო სისხლის სამართლის საქმე იკერებოდა ე.წ. გადატრიალებაზე. თუ საქართველოს წინააღმდეგ ერევანში რამე იგეგმებოდა, მას სრული უფლება ჰქონდა, დაეპატიმრებინა ეს ხალხი. მაგრამ, ეს არ გაუკეთებია და წლების შემდეგ ზღაპრებს ჰყვება.

თუ ვინმემ ჩაიდინა დანაშაული 2007 წელს, ეს თვითონ სააკაშვილი იყო. როგორც ჩანს, მას აქვს შიში იმისა, რომ ამ ყველაფერს გაუხსენებენ. იცის, რომ მის წინააღმდეგ ერთ-ერთი მთავარი ბრალდება ეს იქნება. ამიტომ, ახლა ცდილობს, კონტრშეტევა განახორციელს ამ ინფანტილური სისულელეებით“, — აცხადებს გია ხუხაშვილი.

მაშინ პატარკაციშვილთან ერთად სახელმწიფო გადატრიალებაში, ჯაშუშობაში, ფულის გათეთრებაში და „ქურდულ სამყაროსთან“ კავშირში ბრალი ედებოდა რეჟისორ გოგა ხაინდრავას, თუმცა, ამის მიუხედავად ის არც ერთხელ არ ყოფილა დაკითხული.

მისივე თქმით, ის მიმართავს პროკურატურას, რომ გასაჯაროვდეს ყველა ის მასალა, რის საფუძველზე გენერალურმა პროკურატურამ ოპოზიციის ლიდერების წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე აღძრა.

„7 მუხლით აღიძრა ჩემს წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე. მაგრამ არც ერთხელ არ დავუკითხივართ. 5 წელი ჰქონდათ იმისთვის, რომ დაემტკიცებინათ ჩემთვის სახელმწიფო გადატრიალების მცდელობა, ჯაშუშობა, ფულის გათეთრება, „ქურდულ სამყაროსთან“ კავშირი და ა.შ. ბევრი დრო ჰქონდათ ამის დასამტკიცებლად, მაგრამ ეს იყო ტყუილი, ეს იყო პოლიტიკური დევნის კლასიკური ნიმუში.

მაგათ და ე.წ. ევროპული ღირებულებების პოლიტიკოსებს ვაჩვენებ რას ნიშნავს პოლიტიკური დევნა, ვანო მერაბიშვილია პოლიტიკური დევნის ობიექტი, თუ მე ვიყავი პოლიტიკური დევნის ობიექტი მთელი ამ წლების განმავლობაში?! პირობას ვაძლევ მიხეილ სააკაშვილს და ნიკა გვარამიას, რომელიც გახლდათ ფილმის „ნოემბრიდან- ნომებრამდე“-ს ავტორი, რომ ერთმანეთს სასამართლოში შევხვდებით“, — ამბობს გოგა ხაინდრავა.

ჯაშუშობაში ბრალს სდებდნენ საპარლამენტო უმრავლესობის წევრს ლევან ბერძენიშვილს. როგორც ბერძენიშვილი ამბობს, ბრალდება იმდენად უსუსური იყო, რომ საქმის გამოძიებას აზრი არ ჰქონდა, რადგან არ არსებობდა მტკიცებულება.

„არავის არასოდეს არ გამოვუძახებივარ დაკითხვაზე, არავინ არასოდეს არ დაკითხულა. აწ უკვე ყოფილმა პრეზიდენტმა თქვა, რომ ბერძენიშვილი შნურით იყო მიბმულიო. არავის არ დავუკითხივარ და თუ მხოლოდ თავისი თავი დაჰკითხეს, არ ვიცი. 5 წელი ჰქონდათ იმისათვის, რომ დავეკითხეთ. სააკაშვილი იურისტია და იცის, რომ კაცი თუ დამნაშავეა, უნდა დაჰკითხო“, — ამბობს for.ge-სთან საუბრისას ლევან ბერძენიშვილი.

7 ნოემბრის აქციის ერთ-ერთი ორგანიზატორი კახა კუკავა ამბობს, რომ სააკაშვილმა მტკიცებულება დოკუმეტურად უნდა დადოს, რადგან მან უმძიმესი დანაშაულის შესახებ ისაუბრა. იმ შემთხვევაში, თუ ყოფილი პრეზიდენტი ამ ბრალდებას ვერ დაამტკიცებს, მაშინ ცილისწამებისთვის მიხეილ სააკაშვილის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე უნდა აღიძრას.

„ვარაუდებით ლაპარაკი შეუძლია ოპოზიციას, მაგრამ როცა ამას ქვეყნის ყოფილი ხელმძღვანელი ლაპარაკობს, ეს უკვე ძალიან სერიოზულია. მის ხელში იყო პროკურატურა, პოლიცია და სასამართლო — გამოეძიებინა. კანონის მიხედვით, როცა დანაშაულის შესახებ პირი განაცხადებს, უნდა აღიძრას სისხლის სამართლის საქმე. ამიტომ, როცა ქვეყნის ყოფილი პრეზიდენტი ამბობს, რომ მას ინფორმაცია აქვს დანაშაულის შესახებ, ის პროკურატურამ უნდა დაჰკითხოს — ან დაადასტუროს ეს დანაშაული და დამნაშავეები დასაჯოს, ან ცილისწამებისთვის სააკაშვილი უნდა დასაჯოს“, — აცხადებს for.ge-სთან საუბრისას კახა კუკავა და აქვე დასძენს, რომ 7 ნოემბრის საპროტესტო აქციებში პატარაკაციშვილის მონაწილეობა იყო უფრო ადამიანური, ვიდრე პოლიტიკური. მის ფულს აქციების ორგანიზებაში გარკვეული როლი არ შეუსრულებია.

„ნაციონალური მოძრაობის“ წევრი მიხეილ მაჭავარიანი აცხადებს, რომ როცა ძალიან სერიოზული სპეცსამსახურები მუშაობენ, ძალიან ძნელია ამ ინფორმაციის დოკუმენტურად აღნუსხვა, მით უმეტეს, როცა საუბარია რუსეთის სპეცსამსახურებზე.

„ძალიან ბევრი ასეთი მოვლენა ხდება, მაგრამ ამის დოკუმენტური მტკიცებულება არ რჩება. თუ ვინმე ფიქრობს, რომ რუსეთის სპეცსამსახურები არ მუშაობდნენ, ან ახლაც არ მუშაობენ იმაზე, რომ საქართველოს სახელმწიფო დასუსტდეს, ძალიან ცდება“, — აცხადებს მაჭავარიანი.

კითხვაზე, თუკი ფედერალურმა საგამოძიებო ბიურომ საქართველოს ხელისუფლებას გამოუგზავნა შეტყობინება, რომ „ფე-ეს-ბეს“ ლიდერები და „კანონიერი ქურდები“ ერევანში ჩავიდნენ ბადრი პატარკაციშვილის დასახმარებლად, რატომ არ მოხდა პატარკაციშვილისა და მაშინდელი ოპოზიციის ლიდერების დაკავება, მაჭავარიანიც იმეორებს მიხეილ სააკაშვილის ფრაზას: **„ხელისუფლებას მიღებული ჰქონდა გადაწყვეტილება, რომ, როდესაც საუბარი იყო პოლიტიკურ ლიდერებზე, ყოველთვის ყოფილიყო რაღაცა ტიპის ხელშეუხებლობა მათ მიმართ გამოყენებული“.**

ᲗᲐᲛᲗᲐ ᲫᲐᲠᲩᲐᲕᲐ

„ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲥᲐᲚᲐᲥᲔᲚᲝᲑᲐ ᲙᲘ ᲐᲠᲐ, ᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲔᲝᲑᲐᲐ“, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ...

ᲑᲠᲫᲐᲜᲐ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲓᲠᲝᲖᲔ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲣᲙᲐᲜᲐᲡᲙᲜᲔᲚᲛᲐ ᲢᲠᲣᲑᲐᲓᲣᲠᲛᲐ ᲒᲘᲖᲝ ᲜᲘᲨᲜᲘᲐᲜᲘᲫᲔᲛ ᲓᲐ ᲡᲬᲝᲠᲔᲓ ᲛᲘᲡᲘ ᲮᲡᲝᲕᲜᲘᲡᲐᲓᲛᲘ ᲛᲘᲫᲦᲕᲜᲘᲚ ᲢᲔᲚᲔᲒᲐᲓᲐᲪᲔᲛᲐᲨᲘ ᲒᲐᲕᲘᲪᲐᲜᲘ ᲖᲘᲖᲝ ᲡᲘᲮᲐᲠᲣᲚᲘᲫᲔ.

ᲝᲠ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲔᲚᲡ ᲔᲠᲗᲛᲐᲜᲔᲗᲘᲡ ᲒᲐᲡᲐᲪᲜᲝᲑᲐᲓ ᲛᲔᲡᲐᲛᲔ ᲨᲣᲐᲙᲐᲪᲐᲓ ᲐᲠ ᲡᲭᲘᲠᲓᲔᲑᲐ! ᲔᲡᲔᲪ ᲒᲘᲖᲝᲐ ᲓᲐ ᲛᲐᲠᲗᲚᲐᲪ ᲘᲛ ᲓᲦᲘᲡ ᲛᲔᲠᲔ ᲓᲐᲘᲬᲧᲝ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲝᲑᲐᲪ...

ᲛᲬᲔᲠᲐᲚᲘ, �პᲝᲔᲢᲘ, ᲛᲝᲪᲔᲙᲕᲐᲕᲔ, ᲛᲡᲐᲮᲘᲝᲑᲘ, ᲔᲥᲡᲢᲠᲔᲛᲐᲚᲘ ᲡᲞᲝᲠᲢᲡᲛᲔᲜᲘ, ᲣᲚᲐᲛᲐᲖᲔᲡ ᲛᲐᲜᲓᲘᲚᲝᲡᲐᲜᲗᲐ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲘᲡ ᲜᲔᲑᲘᲔᲠᲐ, ᲔᲠᲗᲘ ᲡᲘᲢᲧᲕᲘᲗ, ᲜᲘᲭᲘᲔᲠᲘ ᲙᲐᲪᲘ ᲓᲐ, ᲠᲐᲪ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘᲐ, ᲩᲕᲔᲜᲘ ᲡᲐᲗᲐᲡᲣᲚᲐᲜᲝ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲔᲠᲗ-ᲔᲠᲗᲘ ᲙᲝᲚᲝᲠᲘᲢᲘ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲛᲔ ᲐᲛ „ᲐᲓᲠᲔᲡᲨᲘ“ ᲡᲮᲕᲐ ᲙᲣᲗᲮᲘᲗ ᲛᲘᲜᲓᲐ ᲘᲣᲑᲘᲚᲐᲠᲡ ᲨᲔᲕᲮᲔᲓᲝ...

„ᲣᲫᲘᲜᲐᲠᲗᲐ ᲛᲖᲔᲨᲘ“ (ᲛᲘᲡ ᲡᲮᲕᲐ ᲠᲝᲚᲔᲑᲖᲔ ᲨᲔᲒᲜᲔᲑᲣᲚᲐᲓ ᲐᲠ ᲕᲘᲡᲐᲣᲑᲠᲔᲑ) ᲘᲡᲔᲗᲘ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲘᲝᲜᲐᲚᲘᲖᲛᲘᲗ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲐᲠᲐᲞᲠᲝᲤᲔᲡᲘᲝᲜᲐᲚᲛᲐ ᲒᲘᲕᲘ ᲡᲘᲮᲐᲠᲣᲚᲘᲫᲔᲛ ᲨᲔᲐᲡᲠᲣᲚᲐ ᲠᲝᲚᲘ, ᲗᲔᲐᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘᲡ ᲓᲘᲠᲔᲥᲢᲝᲛᲘᲐᲜᲘ ᲙᲘ ᲐᲠᲐ, ᲡᲢᲐᲜᲘᲡᲚᲐᲕᲡᲙᲘᲡ ᲑᲔᲕᲠᲘ ᲜᲐᲨᲔᲒᲘᲠᲓᲐᲚᲘᲪ ᲕᲔᲠ ᲨᲔᲐᲡᲠᲣᲚᲔᲑᲓᲐ, ᲠᲐᲓᲒᲐᲜ ᲘᲛ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲘᲝᲜᲐᲚᲘᲖᲛᲡ, ᲓᲐᲛᲐᲯᲔᲠᲔᲑᲚᲝᲑᲡ, ᲠᲐᲡᲐᲪ ᲒᲘᲕᲘ ᲡᲘᲮᲐᲠᲣᲚᲘᲫᲔᲛ ᲛᲘᲐᲦᲬᲘᲐ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲙᲘᲜᲝᲛᲐᲢᲝ�გᲠᲐᲤᲘᲘᲡ ᲔᲠᲗ-ᲔᲠᲗ ᲨᲔᲓᲔᲕᲠᲨᲘ, ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲛᲡᲐᲮᲘᲝᲑᲘᲡ ᲝᲡᲢᲐᲢᲝᲑᲘᲡ ᲚᲔᲥᲪᲘᲔᲑᲖᲔ ᲕᲔᲠ ᲘᲡᲬᲐᲕᲚᲘ! ᲛᲡᲒᲐᲕᲡᲘ ᲠᲝᲚᲔᲑᲘᲡ ᲗᲐᲛᲐᲨᲨᲘ ᲨᲔᲣᲫᲚᲔᲑᲔᲚᲘᲐ, ᲐᲡᲔᲗᲘ ᲠᲝᲚᲔᲑᲘ ᲗᲐᲕᲐᲓ ᲣᲜᲓᲐ ᲒᲥᲝᲜᲓᲔᲡ ᲒᲐᲜᲪᲓᲘᲚᲘ, ᲐᲜ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐᲨᲘ ᲜᲐᲜᲐᲮᲘ. ᲐᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲘᲡ „ᲛᲪᲘᲠᲔ“ ᲠᲐᲛ ᲐᲠᲘᲡ ᲐᲭᲘᲠᲝ, ᲠᲐᲡᲐᲪ „ᲥᲘᲪᲘᲪ ᲠᲝᲛ ᲘᲪᲘᲡ ᲓᲐ ᲥᲘᲪᲛᲐᲪᲣᲠᲘᲪ“ ᲰᲥᲕᲘᲐ. ᲐᲛ ᲪᲝᲓᲜᲐᲡ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ ᲠᲝᲚᲘᲡ ᲛᲔᲠᲔ ᲓᲐᲘᲬᲧᲝ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲝᲑᲐᲪ...

ᲛᲬᲔᲠᲐᲚᲘ, ᲞᲝᲔᲢᲘ, ᲛᲝᲪᲔᲙᲕᲐᲕᲔ, ᲛᲡᲐᲮᲘᲝᲑᲘ, ᲔᲥᲡᲢᲠᲔᲛᲐᲚᲘ ᲡᲞᲝᲠᲢᲡᲛᲔᲜᲘ, ᲣᲚᲐᲛᲐᲖᲔᲡ ᲛᲐᲜᲓᲘᲚᲝᲡᲐᲜᲗᲐ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲘᲡ ᲜᲔᲑᲘᲔᲠᲐ, ᲔᲠᲗᲘ ᲡᲘᲢᲧᲕᲘᲗ, ᲜᲘᲭᲘᲔᲠᲘ ᲙᲐᲪᲘ ᲓᲐ, ᲠᲐᲪ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘᲐ, ᲩᲕᲔᲜᲘ ᲡᲐᲗᲐᲡᲣᲚᲐᲜᲝ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲔᲠᲗ-ᲔᲠᲗᲘ ᲙᲝᲚᲝᲠᲘᲢᲘ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲛᲔ ᲐᲛ „ᲐᲓᲠᲔᲡᲨᲘ“ ᲡᲮᲕᲐ ᲙᲣᲗᲮᲘᲗ ᲛᲘᲜᲓᲐ ᲘᲣᲑᲘᲚᲐᲠᲡ ᲨᲔᲕᲮᲔᲓᲝ...

„ᲣᲫᲘᲜᲐᲠᲗᲐ ᲛᲖᲔᲨᲘ“ (ᲛᲘᲡ ᲡᲮᲕᲐ ᲠᲝᲚᲔᲑᲖᲔ ᲨᲔᲒᲜᲔᲑᲣᲚᲐᲓ ᲐᲠ ᲕᲘᲡᲐᲣᲑᲠᲔᲑ) ᲘᲡᲔᲗᲘ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲘᲝᲜᲐᲚᲘᲖᲛᲘᲗ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲐᲠᲐᲞᲠᲝᲤᲔᲡᲘᲝᲜᲐᲚᲛᲐ ᲒᲘᲕᲘ ᲡᲘᲮᲐᲠᲣᲚᲘᲫᲔᲛ ᲨᲔᲐᲡᲠᲣᲚᲐ ᲠᲝᲚᲘ, ᲗᲔᲐᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘᲡ ᲓᲘᲠᲔᲥᲢᲝᲛᲘᲐᲜᲘ ᲙᲘ ᲐᲠᲐ, ᲡᲢᲐᲜᲘᲡᲚᲐᲕᲡᲙᲘᲡ ᲑᲔᲕᲠᲘ ᲜᲐᲨᲔᲒᲘᲠᲓᲐᲚᲘᲪ ᲕᲔᲠ ᲨᲔᲐᲡᲠᲣᲚᲔᲑᲓᲐ, ᲠᲐᲓᲒᲐᲜ ᲘᲛ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲘᲝᲜᲐᲚᲘᲖᲛᲡ, ᲓᲐᲛᲐᲯᲔᲠᲔᲑᲚᲝᲑᲡ, ᲠᲐᲡᲐᲪ ᲒᲘᲕᲘ ᲡᲘᲮᲐᲠᲣᲚᲘᲫᲔᲛ ᲛᲘᲐᲦᲬᲘᲐ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲙᲘᲜᲝᲛᲐᲢᲝ�გᲠᲐᲤᲘᲘᲡ ᲔᲠᲗ-ᲔᲠᲗ ᲨᲔᲓᲔᲕᲠᲨᲘ, ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲤᲠᲘᲐᲓᲖᲔ ᲡᲬᲐᲕᲚᲘᲗ ᲕᲔᲠ ᲨᲔᲘᲫᲔᲜ, ᲠᲐᲓᲒᲐᲜ ᲐᲛ ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲡ ᲡᲐᲑᲝᲚᲝᲝ ᲯᲐᲛᲨᲘ, ᲙᲐᲪᲝᲑᲐ ᲰᲥᲕᲘᲐ, ᲠᲐᲡᲐᲪ ᲣᲤᲠᲝᲡᲘ ᲗᲐᲝᲑᲘᲡ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲔᲚᲔᲑᲘ ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲣᲑᲜᲔᲑᲨᲘ, ᲥᲣᲩᲐᲑᲐᲜᲓᲔᲑᲨᲘ ᲕᲡᲬᲐᲕᲚᲝᲑᲓᲘᲗ, ᲠᲘᲡ ᲒᲐᲠᲔᲨᲔᲪ ᲙᲐᲑᲘᲙᲘᲐ ᲜᲔᲑᲘᲡᲛᲘᲔᲠᲘ ᲨᲔᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲘᲡ ᲤᲐᲡᲘ...

ᲒᲘᲕᲘ ᲡᲘᲮᲐᲠᲣᲚᲘᲫᲔᲪ ᲔᲠᲗᲘ ᲩᲕᲔᲣᲚᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲔᲚᲘ, ᲕᲝᲠᲐᲜᲪᲝᲕᲔᲚᲘ ᲑᲘᲭᲘ ᲘᲧᲝ ᲓᲐ ᲐᲮᲚᲐ 70 ᲬᲚᲘᲡ ᲙᲐᲪᲝᲑᲐᲡ ᲣᲚᲝᲪᲐᲕᲡ ᲐᲛᲔᲠ-ᲘᲛᲔᲠ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ ᲛᲘᲡᲘ ᲢᲐᲚᲐᲜᲢᲘᲡ ᲓᲐ ᲙᲐᲪᲝᲑᲘᲡ ᲓᲐᲛᲤᲐᲡᲔᲑᲔᲚᲘ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲐ!

ᲙᲐᲘ ᲑᲘᲭᲘ ᲗᲣ ᲐᲠ ᲧᲝᲤᲘᲚᲮᲐᲠ, ᲙᲐᲘ ᲙᲐᲪᲘ ᲕᲔᲠ ᲒᲐᲮᲓᲔᲑᲘ — ᲔᲡ ᲣᲙᲕᲔ ᲩᲔᲛᲘ ᲪᲮᲝᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲫᲛᲝᲑᲘᲚᲘᲡ, ᲐᲜᲐᲜᲘᲐ ᲡᲐᲚᲣᲥᲕᲐᲫᲘᲡ ᲜᲐᲗᲥᲕᲐᲛᲘᲐ ᲓᲐ, ᲗᲣᲗᲐᲨᲮᲘᲐᲡᲘ ᲐᲠ ᲘᲧᲝᲡ, „ᲐᲡᲔᲐ ᲔᲡ“, ᲩᲔᲛᲝ ᲒᲘᲕᲘ, ᲓᲐ ᲒᲘᲚᲝᲪᲐᲕ ᲘᲣᲑᲘᲚᲔᲡ, ᲦᲛᲔᲠᲗᲘ ᲒᲤᲐᲠᲐᲕᲓᲔᲗ ᲓᲐ ᲛᲠᲐᲕᲐᲚᲟᲐᲛᲘᲔᲠ ᲨᲔᲜ ᲓᲐ ᲨᲔᲜᲡ ᲜᲐᲒᲠᲐᲛᲡ!

ᲰᲝᲓᲐ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ „ᲘᲡ ᲒᲘᲕᲘ“ ᲔᲣᲑᲜᲔᲑᲘ „ᲘᲛ ᲓᲐᲗᲝᲡ“ ᲣᲫᲘᲜᲐᲠᲗᲐ ᲛᲖᲔᲨᲘ, ᲘᲛᲐᲡ „ᲔᲡ ᲓᲐᲗᲝ“ ᲒᲘᲑᲠᲣᲜᲔᲑ „ᲩᲔᲛᲡ ᲒᲘᲕᲘᲡ“ ᲬᲔᲠᲘᲚᲘᲡ ᲑᲝᲚᲝᲡ — ᲮᲝᲛ ᲘᲪᲘ, ᲨᲔᲜᲘ ᲫᲛᲐ ᲕᲐᲠ, ᲐᲛᲐᲡ ᲛᲔ ᲒᲔᲣᲑᲜᲔᲑᲘ...

ᲓᲐᲗᲝ ᲛᲮᲔᲘᲫᲔ

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

საქართველოს ხელისუფლება გვპირდება, რომ გახსნის ექსპრემიერის დაღუპვის საიდუმლოს

საძართველოს პროკურატურას განზრახული აქვს უახლოეს პერიოდში გამოაქვეყნოს ახალი მონაცემები ყოფილი პრემიერ-მინისტრის ზურაბ ჟვანიას გარდაცვალების ვითარებათა შესახებ. ზოგიერთი მონაცემებით, საქმის მასალებში ფიგურირებს აუდიოჩანაწერი ექსპრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის ხმით, რომელმაც ამ ცოტა ხნის წინათ დატოვა საქართველო. თბილისში სახელმწიფოს ყოფილი მეთაურის გამგზავრებას ქვეყნიდან უკავშირებენ მის შესაძლო მონაწილეობას წარსულში ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი პოლიტიკოსის გარდაცვალებაში.

ბრალდებანი მიხეილ სააკაშვილის მონაწილეობის შესახებ ექსპრემიერ ზურაბ ჟვანიას დაღუპვაში კვლავ გაჟღერდა საქართველოს ექსპრეზიდენტის გამოსვლის შემდეგ კიევიდან პირდაპირი ჩართვის დროს ტელეკომპანია „რუსთავი-2“-ზე. „იმ მიზეზების შესახებ, რამაც მიბიძგა დამეტოვებინა საქართველო, გულღიად ვიტყვი თავის დროზე“, — განაცხადა ექსპრეზიდენტმა. მისი გამოსვლა დაემთხვა პროკურატურის განცხადებას იმის შესახებ, რომ საქმე ზურაბ ჟვანიას გარდაცვალების ვითარებათა შესახებ „პრაქტიკულად გახსნილია“ და შედეგები უახლოეს პერიოდში გამოქვეყნდება.

სხვათა შორის, ზურაბ ჟვანიას თანამებრძოლები და უახლოესი მეგობრები ამტკიცებენ: მიხეილ სააკაშვილი ექსპრემიერის გარდაცვალებაში 2005 წლის თებერვალში მონაწილეობას არ ღებულობდა, ხოლო ყოფილი პრეზიდენტის ჩარევა გამოძიებაში შემოიფარგლა მხოლოდ „მცდელობით, მიაფუჩეჩონ მომხდარის რეალური სურათი“ მიცვალებულის რეპუტაციის შენარჩუნების მიზნით.

როგორც ჩვენმა გაზეთმა გამოიკვლია, გამოძიებამ არ დაადასტურა ვერსია ჟვანიას მკვლელობის შესახებ, ოფიციალური მონაცემებით, „მხუთავი გაზით გაგუდული ექსპრემიერი და მისი მეგობარი, 22 წლის რაულ უსუპოვი იმყოფებოდნენ კონსპირაციულ ბინაში, ხოლო პროკურატურის მიერ ანონსირებული ახალი ცნობები შეეხება ამ საქმესთან დაკავშირებული ხმების ფალსიფიკაციას. ჩვენი მონაცემებით, სწორედ „ხმების ფალსიფიკაციის მცდელობა“ შეიძლება იყოს ექსპრეზიდენტისა და მისი უახლოესი გარემოცვის დანაშაული, და არა ექსპრემიერის გარდაცვალებაში მონაწილეობა.

სახელმწიფო კანცელარიის ყოფილმა ხელმძღვანელმა და გარდაცვლილი პრემიერ-მინისტრის ახლო მეგობარმა პეტრე მამრაძემ ჩვენს გაზეთს განუმარტა, რომ მიხეილ სააკაშვილი და მისი უახლოესი გარემოცვა „ზურაბის გარდაცვალებაში უდანაშაულო არიან, მაგრამ როდესაც ტრაგედიის ადგილზე მივიდნენ, ისინი ყველანაირად ცდილობდნენ შეეცვალათ მომხდარის სურათი“.

საქართველოს ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის ყოფილმა სახელმწიფო მინისტრმა გიორგი ბარამიძემ, რომელიც ერთ-ერთი პირველი მივიდა იმ ბინაზე, სადაც დაიღუპნენ ჟვანია და უსუპოვი, თავის მხრივ, მოუწოდა პროკურატურას „შეწყვიტოს ლაყბობა და ჭორების გავრცელება“. „თუ აქვთ სათქმელი, ილაპარაკონ“, — განაცხადა ბატონმა ბარამიძემ ქართველი ჟურნალისტებისთვის მიცემულ ინტერვიუში. მან დაუმატა, რომ თუ მას ბრალს დასდებენ „ხმების ფალსიფიკაციაში“ დანაშაულის ადგილზე, მაშინ „მოუწევს უპასუხოს შეკითხვაზე, თუ კონკრეტულად რა მიზნით“ გააკეთა მანეს. ბარამიძემ გადაკვრით აღნიშნა, რომ ამ შემთხვევაში მას შეუძლია გაამჟღავნოს გარდაცვლილი ჟვანიას ოჯახისთვის უხერხული სიმართლე. თავის მხრივ, გარდაცვლილი პრემიერის ძმამ, პარლამენტის წევრმა მმართველ კოალიცია „ქართული ოცნებიდან“ გოგლა ჟვანიამ ამ ირიბად ნათქვამებს „ბინძური ინსინუაციები უწოდა“ — ზურაბის მკვლელობის შესახებ სიმართლის დასაფარავად.

ვინ იყო ზურაბ ჟვანია საქართველოსთვის

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ზურაბ ჟვანია იყო უკანასკნელი წლების ქართული პოლიტიკის ერთ-ერთი ბურჯი. ცხადია, რომ გარდაცვლილი პრემიერის გარეშე არ იქნებოდა „ვარდების რევოლუცია“ — თუ მიხეილ სააკაშვილი იყო ამ რევოლუციის სახე, ზურაბ ჟვანია იყო მისი გონებრივი ცენტრი. მოწინააღმდეგეებიც კი აღიარებენ მის, როგორც ორგანიზატორისა და გამოცდილი პოლიტიკოსის, გასაოცარ ნიჭს.

Коммерсантъ

საქართველოს კინოთეატრებში, შეიძლება, შეწყვიტონ რუსულ ენაზე ფილმების ჩვენება

საძართველო პირველად განსაზღვრავს კანონმდებლურად თავის ტერიტორიაზე ენების გამოყენების ნორმას. კონსტიტუციაში დამატებითი ცვლილების სახით იმის შესახებ, რომ ქვეყანაში სახელმწიფო ენები ქართული და აფხაზურია, პარლამენტი მიიღებს „კანონს ენის შესახებ“.

— კანონპროექტი ამჟამად ექსპერტიზაზე გაგზავნილია ვენეციის კომისიაში (ეს არის საკონსულტაციო ორგანო საკონსტიტუციო უფლების შესახებ, რომელიც 1990 წელს ევროსაბჭოსთან შეიქმნა — რედ.), — განუცხადა ჩვენს გაზეთს კულტურის, მეცნიერებისა და განათლების საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ალექსანდრე ქანთარიამ, **— მალე ჩვენ მივიღებთ შეფასებებს და კანონი მიღებული იქნება უკვე საგაზაფხულო სესიის დროს.**

პარლამენტარმა მმართველი კოალიციიდან „ქართული ოცნება“ გვაცნობა, რომ არანაირი აკრძალვა რუსული ენის გამოყენებაზე საყოფაცხოვრებო სფეროში, როგორც ეს დაუშვა წინა ხელისუფლებამ, არ არის გათვალისწინებული. შეგახსენებთ, რომ სააკაშვილის დროს 2011 წელს უკვე იყო მცდელობა კინოთეატრებში ფილმების რუსულ ენაზე ჩვენების აკრძალვასთან დაკავშირებით.

— კანონმდებლურად ეს გაფორმებული არ ყოფილა, აკრძალვა არსებობდა საშინაო განკარგულების დონეზე ან გაუმჟღავნებელი აკრძალვის სახით, თანაც ცოტა ხნით, — განმარტა ქანთარიამ.

მაგრამ თუ ამჟამად საქართველოს კინოთეატრებში ფილმების უდიდეს უმრავლესობას აჩვენებენ რუსულ ენაზე, ახალი წესების მიხედვით ეს დაუშვებელი აღმოჩნდება.

— კინოს უჩვენებენ ან ქართული თარგმანით, ან, რაც უფრო სავარაუდოა, ორიგინალის ენაზე ტიტრებით ქართულ ენაზე. ეს ცივილიზებული პრაქტიკაა, ყველა ქვეყანა ცდილობს დაიცვას თავისი ენა, — თქვა ქანთარიამ.

თბილისში ორი თანამედროვე კინოთეატრია — „რუსთაველი“ და „ამირანი“. აქ იშვიათად უჩვენებენ ფილმებს ინგლისურ ენაზე. ქართულ ენაზე ძირითადად უჩვენებენ ადგილობრივი წარმოების კინოებსა და უცხოურ მულტფილმებს. მსოფლიო კინემატოგრაფის ძირითადი ახალი ამბები შემოდის რუსულ ენაზე. მათი თარგმნა ან ტიტრების მორგება დიდი ხარჯია ადგილობრივი გამქირავებლებისთვის, რომლებიც ახლა ანგარიშობენ, თუ რა ხარჯი ექნება ენისადმი ახალ საკანონმდებლო მოთხოვნებს. ამან შეიძლება ბილეთების ღირებულების გაზრდასთან მიგვიყვანოს.

გამოყოფილ აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში, რომლებსაც საქართველო „ოკუპირებულ ტერიტორიებს“ უწოდებს, მეორე სახელმწიფო ენად რუსული ითვლება. საქართველოს ახალი კანონმდებლობის თანახმად, ეს უკანონოა. ამავე დროს, თბილისი გვპირდება კონფლიქტების მოწესრიგების დროს დაიცვას აფხაზური და ოსური ენები. საქართველოს შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორუფლებიანობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრმა პაატა ზაქარეიშვილმა ჩვენს გაზეთს განუცხადა, რომ თბილისის პოზიციაა მისცეს გარანტია აფხაზურ და ოსურ ენებს ოფიციალურ დონეზე, დანარჩენ ენებს კი — უფლება „უზრუნველყონ ფუნქციონირების პირობები“.

ამავე დროს, ზაქარეიშვილი გვპირდება, რომ საყოფაცხოვრებო დონეზე რუსული ენისთვის ყველაფერი წესრიგში იქნება.

— მე ხომ სრულიად მშვიდად ვლაპარაკობ ამ ენაზე, — თქვა ზაქარეიშვილმა.

ოპოზიცია არ არის დარწმუნებული, რომ „ქართული ოცნება“ გარისკავს შეზღუდოს რუსული ენის გამოყენება კინოთეატრებშიც კი, რომ აღარაფერი ითქვას აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთზე.

— ჩვენ ვხედავთ, რომ საქართველოს ამჟამინდელი ხელისუფლება ყველაფერს უთმობს რუსეთს მხოლოდ კონსტრუქციული ურთიერთობების სახით, — განუცხადა ჩვენს გაზეთს პარლამენტის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ, დეპუტატმა ექსპრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის პარტიიდან „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ შოთა მალაშხიამ...

თბილისის გრიბოედოვის სახელობის რუსულ დრამატულ თეატრში, რომელიც თავის 168-ე სეზონს ატარებს, ჩვენს გაზეთს უთხრეს, რომ ახალი კანონი მათ არ შეეხება.

— სპექტაკლები მიმდინარეობს ანშლაგით და მაყურებელთა უდიდესი უმრავლესობა ტიტულოვანი ერის წარმომადგენლები არიან. ჩვენ პოპულარიზაციას ვუწევთ არა მხოლოდ რუსულ კულტურას, არამედ რუსულ ენასაც, — გვითხრა კოლექტივის წარმომადგენელმა ნინო წითლანაძემ.

ექსპერტები ამჟამინდელ მთავრობას ურჩევენ ფრთხილად გადაწყვიტოს საკითხები რუსულ ენასთან დაკავშირებით. ცნობილი ენათმეცნიერი, ენის პალატის ყოფილი თავმჯდომარე ლევან ღვინჯილია აღნიშნავს, რომ რუსული ენა საქართველოში კვლავ რჩება ერთაშორის ურთიერთობის ენად იმის გათვალისწინებით, რომ ქვეყანა ინტერნაციონალურია. მისი სიტყვებით, კანონის მიღება მოითხოვს პარლამენტსა და სპეციალისტებს შორის სერიოზულ წინასწარ განხილვას.

ИЗВЕСТИЯ
ОБЩЕНАЦИОНАЛЬНАЯ ГАЗЕТА

დედამიწის ზურგზე

ყირიმის მთავრობისა და პარლამენტის შენობები შეიარაღებულმა ნიღბიანმა ხალხმა ჩაიგდო ხელში

პირველად ამის შესახებ ინფორმაცია გაავრცელა ყირიმელი თათარი ხალხის მეჯლისის თავმჯდომარემ რეფატ ჩუბაროვმა. მოგვიანებით გაჩნდა ცნობა, რომ ესენი არიან მოძრაობა „ყირიმის რუსულენოვანი მოსახლეობის თავდაცვის“ წარმომადგენლები, სადაც შედიან ყოფილი სამხედროები, სამართალდაცვის ორგანოების ყოფილი ოფიცრები, სპეცსამსახურების ყოფილი თანამშრომლები. ავტონომიის პრემიერთან მოლაპარაკებამ ჯერჯერობით შედეგი არ გამოიღო.

* * *

რუსეთი დაჩქარებით აღორძინებს ყირიმში საინვესტიციო პროექტებს, რომელთა ღირებულებაც 5 მილიარდი დოლარია

სია შეადგინეს ჯერ კიდევ იანუკოვიჩის დროს, ახლა კი, ხელისუფლების შეცვლის შემდეგ, რუსეთის ფედერაციის ეკონომიკის სამინისტრომ დაიწყო მათი დამუშავება ნახევარკუნძულზე პრორუსული და სეპარატისტული განწყობილების ფონზეც კი. თუმცა, ბიზნესმენები არ ჩქარობენ დააბანდონ პროექტში თანხები, სანამ უკრაინაში სიტუაცია სტაბილური არ გახდება. ამავე დროს, ამერიკის შეერთებული შტატები და ევროკავშირი ქვეყანას სთავაზობენ თავიანთ ძალისხმევას მანამ, სანამ დაიწყებდნენ მისი ფულით მომარაგებას.

* * *

ტელესკოპმა „კეპლერმა“ აღმოაჩინა 517 ახალი პლანეტა, რომლებიც პოტენციურად ხელსაყრელია სიცოცხლის შესანარჩუნებლად

„ოთხი მათგანი დაახლოებით 2,5-ჯერ უფრო დიდია დედამიწის მოცულობაზე და ისინი ბრუნავენ თავიანთი ვარსკვლავების გარშემო“, ნათქვამია „ნასას“ მოხსენებაში. ერთ-ერთმა პლანეტამ უკვე მიიღო სახელწოდება „კეპლერ-296 F“. თუმცა, მეცნიერებს ჯერჯერობით არ შეუძლიათ ზუსტად დაადგინონ, არის თუ არა იგი გაზის თუ დაფარულია ღრმა ოკეანით.

* * *

მასობრივი ინფორმაციის საშუალებები: კუბაში საიდუმლოდ გემსაბმელით მიიება რუსეთის სამხედრო ხომალდი

არც თავისუფლების კუნძულის მხრიდან, არც ადგილობრივი მასობრივი ინფორმაციის საშუალებების ფურცლებიდან არ გაკეთებულა არანაირი განცხადება ამ ვიზიტის შესახებ, აღნიშნავენ უცხოელი ჟურნალისტები. თუმცა, რუსეთის ხომალდების შესვლას ადრე კუბის ნავსადგურებში ყოველთვის თან ახლდა საინფორმაციო გაშუქება.

ზემაღალი სიხშირის ტალღების აგრესია

ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში ფართოდ დამკვიდრდა მობილური ტელეფონი და ინტერნეტი. ისინი ნამდვილად მეტად მოსახერხებელია და თითქმის მთლიანად შეცვალა ჩვეულებრივი ტელეფონები. თუ ინტერნეტის ზემაღალი სიხშირის გზით („ვაი-ფაი“) კომპიუტერული კავშირი სრულიად უხიფათოა (მისი ანტენის მიერ გამოსხივებული ტალღის სიმძლავრე სულ ცოტა ათასჯერ მცირეა მობილური ტელეფონების ანტენიდან გამოსხივებულ ტალღის სიმძლავრესთან შედარებით), მაგრამ მოსახლეობისთვის ნაკლებად არის ცნობილი ის ზიანი, რომელიც მობილური ტელეფონის ხანგრძლივმა ხმარებამ შეიძლება ჩვენს ჯანმრთელობას მოუტანოს.

ცნობილია, ამ სიხშირის ელექტრომაგნიტური გამოსხივება ძალზე უარყოფითად მოქმედებს ნერვულ სისტემაზე, იწვევს გულსისხლძარღვთა სისტემისა და ნივთიერებათა ცვლის ფუნქციების მოშლას. ელექტრომაგნიტური ველის ადამიანზე ხანგრძლივი ზემოქმედება იწვევს ტვინის და ნერვული სისტემის უჯრედების სიკვდილს ან მის კიბოს უჯრედებად გარდაქმნას.

კიბოს წინააღმდეგ მებრძოლმა მსოფლიოში ცნობილმა ექსპერტმა, ნეიროქირურგმა, პროფესორმა **ვინი კურანმა** გააანალიზა 100-ზე მეტი ნაშრომი და აღმოაჩინა **„მნიშვნელოვანი დასაბუთება** (რომელთა რაოდენობა იზრდება), **რომ მობილური ტელეფონებით სარგებლობასა და ტვინის კიბოს შორის მჭიდრო კავშირი არსებობს. პროფესორის აზრით, ასეთი სიმსივნეები იგივეა, რაც სიკვდილის მისჯა: ის უმალ არ კლავს, მაგრამ დაახლოებით 10 წლის შემდეგ სიკვდილი გარდუვალია.**

ამერიკელმა მეცნიერებმა განაცხადეს, რომ **ბავშვის ტვინი 50-70 პროცენტით უფრო მეტ გამოსხივებას შთანთქავს, ვიდრე მოზრდილის ტვინი.**

შვედი და ფინელი მეცნიერების აზრით, ზემაღალი სიხშირის ელექტრომაგნიტურ ტალღას, ყველაზე ძლიერი უარყოფითი გავლენა აქვს **იმუნურ, ნერვულ, ენდოკრინულ და სქესობრივ სისტემებზე**. გამოკვლევებით დადგენილია, რომ სუსტ ელექტრომაგნიტურ გამოსხივებას შეუძლია ისეთი ავადმყოფობები გამოიწვიოს, როგორებიცაა: პარკისონისა და ალცჰეიმერის დაავადებები, ამნესია, კიბო, ცენტრალური ნერვული სისტემის დაავადებები, იმუნური და ენდოკრინული სისტემების მოშლა, ტვინის სიმსივნე, თვალის დაავადებები, იმპოტენცია და ამასთანავე, გაზარდოს თვითმკვლელობისადმი მიდრეკილება. ელექტრომაგნიტური გამოსხივება განსაკუთრებით სახიფათოა ბავშვებისა და ორსული ქალებისთვის, მაგრამ მთავარი პრობლემა იმაში მდგომარეობს, რომ გამოსხივება მოქმედებს მომავალი თაობის ჯანმრთელობაზე და ინტელექტზე.

განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ უკანასკნელი ინტერნეტ-ინფორმაციის თანახმად, **ჯანმრთელობის დაცვის საერთაშორისო ორგანიზაციამ 13 ქვეყნის მეცნიერთა დასკვნის საფუძველზე აღიარა ზემაღალი სიხშირეების ბიოლოგიური ზემოქმედების საფრთხე.**

ამავე დროს, კიდევ ერთი გამოკვლევა, რომელიც ჩატარდა მობილური კომუნიკაციების უსაფრთხოების პროგრამის ფარგლებში გვიჩვენებს, რომ მობილური ტელეფონების მომხმარებელთა შორის შემჩნეულია ტვინისა და სმენის ნერვის ნევრინის ოდნავ მეტი შემთხვევები, თუმცა, ეს სხვაობა ჯერჯერობით სტატისტიკური ცდომილების ჩარჩოშია.

უახლოეს მომავალში ბრიტანეთის ხელისუფლება აპირებს კვლევების ახალი ეტაპის დაწყებას, რომელშიც მონაწილეობას მიიღებს დაახლოებით 200 ათასი მობილური ტელეფონის მომხმარებელი ბრიტანეთის, დანიის, შვეციისა და ფინეთის ტერიტორიაზე. ჯანმრთელობის მდგომარეობის უფრო ზუსტი მონაცემების მიღების მიზნით, დაკვირვებები ხანგრძლივი დროის მანძილზე ჩატარდება.

ადამიანის ორგანიზმზე უარყოფითი ზემოქმედების წყარო არის ულტრაბგერა, რომელსაც სხეულში მობილური ტელეფონის ანტენის მიერ გამოსხივებული ელექტრომაგნიტური ტალღა აღძრავს. ულტრაბგერის სიხშირე ელექტრომაგნიტური ტალღის სიხშირის ტოლია, ხოლო ტალღის სიგრძე — ორგანიზმის უჯრედის ზომების რიგისაა. უჯრედი ამ აკუსტიკური ტალღის ზემოქმედებით რხევას იწყებს, რაც იწვევს მის დეფორმაციას. სწორედ ძლიერი დეფორმაციის შედეგად ზიანდება უჯრედი, რაც ან უჯრედის სიკვდილს, ან მისი სიმსივნის უჯრედად გადაგვარებას იწვევს.

ექსპერიმენტები ადამიანის ორგანიზმზე მაღალი სიხშირის ელექტრომაგნიტური ტალღის ზემოქმედებისა, მრავალი ათეული წელია, მიმდინარეობს, მაგრამ მისი შედეგები უმეტესად გასაიდუმლოებულია. ეს კვლევები დაიწყო მეორე მსოფლიო ომის დამთავრებისთანავე, რადიოლოკაციის განვითარებასთან ერთად. დახურულ კვლევებს მობილური ტელეფონების დამამზადებელი ფირმებიც ატარებენ, თუმცა, მათ მიერ გამოქვეყნებული შედეგები ხშირად დამახინჯებულია.

ამ რამდენიმე წლის წინათ იაპონელმა მეცნიერებმა ექსპერიმენტულად შეისწავლეს სითბოს განაწილება ადამიანის სახეზე ტელეფონით ოცწუთიანი საუბრის შემდეგ. მათი მონაცემებით, ტემპერატურის მაქსიმალური აწევა ყურის მახლობელ არეში დადგინდა და მან 0.5 გრადუსი შეადგინა. ავტორთა აზრით, 0,5 გრადუსით ტემპერატურის გაზრდა სრულიად უხიფათო უნდა ყოფილიყო ადამიანისთვის და ამდენად, მობილური ტელეფონების ხმარება უხიფათოდ ჩათვალეს.

> **ელექტრომაგნიტური გამოსხივება განსაკუთრებით სახიფათოა ბავშვებისა და ორსული ქალებისთვის, მაგრამ მთავარი პრობლემა იმაში მდგომარეობს, რომ გამოსხივება მოქმედებს მომავალი თაობის ჯანმრთელობაზე და ინტელექტზე.**

ცხადია, 0.5 გრადუსით სხეულის ან მისი ნაწილის ტემპერატურის გაზრდა სავსებით უხიფათოა, მაგრამ მთავარია მიზეზი, თუ რატომ გაიზარდა სხეულის ტემპერატურა?

მიზეზი კი მართლაც საშიშია, რადგან ის იმ აკუსტიკურ რხევებთანაა დაკავშირებული, რაც ულტრაბგერამ გამოიწვია. ეს სწორედ ის რხევებია, რასაც უჯრედების გარკვეული ნაწილის სიკვდილს იწვევს.

გაიხსენეთ ზემაღალი სიხშირის ღუმელები, რომლებსაც ჩვენი დიასახლისები იყენებენ საკვების მოსამზადებლად და გასათბობად. **ამ ღუმელებში ხორცი იწვის სწორედ იმ მექანიზმის საფუძველზე, რაც მობილური ტელეფონით საუბრისას ყურის მახლობელი სახის უბნის ტემპერატურის აწევას იწვევს.** მართალია, ტელეფონის ანტენის გამოსხივების სიმძლავრე დაახლებით 100-ჯერ ნაკლებია საოჯახო ღუმელებში არსებული ველის სიმძლავრესთან შედარებით, მაგრამ სრულიად საკმარისია, რომ ორგანიზმის მილიარდობით უჯრედი სასიკვდილოდ დააზიანოს ან კიბოს უჯრედებად გარდაქმნას.

მართალია, ცოცხალ ორგანიზმს შეუძლია ახალი უჯრედების წარმოქმნა, მაგრამ წარმოქმნის რესურსი შეზღუდულია. ამიტომ ბერდება ადამიანის ორგანიზმი და სიმსივნის უჯრედებიც რომ არ წარმოიქმნას, ტვინის ნაადრევი დაბერება აუცილებლად მოხდება.

მობილური ტელეფონებით ხანგრძლივმა საუბარმა შეიძლება როგორც სმენის ნერვის, ისე თვალის ბადურის დაზიანებაც გამოიწვიოს.

განსაკუთრებით სახიფათოა მობილური ტელეფონებით ხშირი და ხანგრძლივი საუბარი ბავშვებისთვის და მოზარდებისთვის. ცხადია, მობილური ტელეფონებით სარგებლობა უაღრესად მოსახერხებელია, მაგრამ თუ თქვენი ჯანმრთელობის შენარჩუნება გსურთ, უნდა ისაუბროდ მინიმალური დროის განმავლობაში და მხოლოდ მაშინ, როდესაც ეს ძალზე აუცილებელია.

ხშირად მინახავს, რომ სახლში ან დაწესებულებაში არის ჩვეულებრივი ტელეფონი და მაინც მობილური ტელეფონით საუბრობენ. მინდა, ყველას ვურჩიო: თუ მობილურზე დაგირეკავენ, სთხოვეთ, რომ ჩვეულებრივ ტელეფონზე გადმოგირეკონ.

მობილური ტელეფონით საუბრით გამოწვეული ხიფათი მკვეთრად იზრდება ავტომანქანით მგზავრობის დროს. ეს გამოწვეულია ავტომანქანის სალონის კედლებიდან ელექტრომაგნიტური ტალღების არეკვლისა და სალონის სივრცეში მათი ზედდების შედეგად მიღებული ტალღების ინტერფერენციის გამო. ავტომობილის სალონის გარკვეულ უბანში შეიძლება ისეთი სიმძლავრის ელექტრომაგნიტური რხევები შეიქმნას, რომელიც მრავალგზის აჭარბებს ტალღის ინტენსიობას ღია გარემოში. შესაბამისად, ულტრაბგერის ამპლიტუდა მკვეთრად შეიძლება გაიზარდოს, რამაც არა თუ ადამიანის ჯანმრთელობას შეიძლება დიდი ზიანი მიაყენოს, არამედ თანამედროვე მანქანებში არსებული მინიკომპიუტერული სისტემაც კი გამოიყვანოს წყობიდან და მოულოდნელი ავარიის მიზეზიც კი გახდეს.

ტელეფონის მიერ გამოსხივებული ტალღის ინტენსივობის მკვეთრად შემცირებას ადვილად შეძლებთ, თუ გამომსხივებელ ანტენას თქვენს სხეულს მაქსიმალურად მოაცილებთ. ამისთვის ან სპეციალური ყურთასასმენები უნდა გამოიყენოთ, ან ისეთი აპარატები, რომლის ხმაც დიდი მანძილიდან შეიძლება გაიგონოთ.

მობილური ტელეფონები მართლაც ძალზე მოსახერხებელია არა მარტო თქვენთვის, არამედ სპეცსამსახურებისთვისაც თქვენი საუბრების მოსასმენად და გასაკონტროლებლად. მართალია, ის თანამედროვე ტექნოლოგიის დიდ მიღწევად უნდა ჩაითვალოს, მაგრამ ამ მიღწევას სწორი გამოყენება უნდა, რათა თქვენ დიდი და გამოუსწორებელი ზიანი არ მიიღოთ.

ამიტომ საზოგადოების განსაკუთრებულად მკაცრი ყურადღების ქვეშ უნდა მოექცეს ფიჭური კავშირის ანტენების დადგმა საცხოვრებელი კორპუსების მახლობლად. ამ მხრივ თბილისში საგანგაშო მდგომარეობაა: საცხოვრებელი კორპუსების თავზე არა მარტო მძლავრი გადამცემი ანტენები მოთავსდა, არამედ დიდი სიმძლავრის საბაზო სადგურებიც კი განლაგდა საცხოვრებელი შენობების მაღალ სართულებზე.

სრული უპასუხისმგებლობის და მოსახლეობის ჯანმრთელობისადმი დანაშაულებრივი ზიანის მიყენების მაგალითია ილია ჭავჭავაძის გამზ. 16-ის საცხოვრებელი კორპუსის ზედა სართულზე 200 ვატი სიმძლავრის საბაზო სადგური „ვაკე-ავრორას“ დამონტაჟება სამი გადამცები ანტენით. ეს დანაშაულებრივი ქმედებაა არა მარტო ამ კორპუსის, არამედ მიმდებარე კორპუსის მცხოვრებლებისთვისაც. მიუხედავად მოსახლეობის მრავალგზის თხოვნისა, შპს „მაგთიკომი“ უგულებელყოფს მოსახლეობის უდიდესი ნაწილის მოთხოვნას, რათა დაუყოვნებლივ შეწყდეს ჯანმრთელობისათვის უაღრესად საზიანო დანადგარის მოქმედება.

საერთაშორისო ჯანმრთელობის დაცვის კომიტეტის დადგენილებით, დასხივების სიმძლავრის სიდიდე ყოველ კვადრატულ სანტიმეტრზე არ უნდა აღემატებოდეს 10 მკვტ-ს. ეს სიდიდე, მაგთიკომის მონაცემებით, ანტენებიდან 35 მეტრის დაშორებითაა, რაც ჭავჭავაძის გამზირზე მოსიარულეთათვის ნორმის ფარგლებშია, მაგრამ კორპუსის მოსახლეობა 24 საათის განმავლობაში იღებს დასხივებას, რომელიც მრავალჯერ აღემატება სანიტარული მინიმუმის ნორმას. ამასთანავე, ცნობილია, რომ ანტენებამდე მანძილის ორჯერ შემცირება იწვევს დასხივებული სიმძლავრის 4-ჯერ გაზრდას. ამდენად, მაღალ სართულებზე მცხოვრებლებისთვის, სადაც ანტენებიდან დაცილება სულ რამდენიმე მეტრია, დასხივების სიმძლავრე 100-ჯერ და უფრო მეტად აღემატება სანიტარული ნორმებით დასაშვებ მაქსიმალურ სიდიდეს.

სრულიად მიუღებელია, რომ ქალაქში ვერ მოხერხდა ელექტრომაგნიტური ტალღების სრული მონიტორინგი და მოსახლეობისათვის მეტად სახიფათო უბნების დადგენა. ქალაქში ხშირად შეხვდებით მობილური ფირმების მიერ გადამცემი ანტენების დამონტაჟებას საბავშვო ბაღებსა და სკოლების უშუალო სიახლოვეს, საცხოვრებელი სახლების, საავადმყოფოების სახურავებზე და სხვ. **თვით მოსახლეობამ მკაცრად უნდა გააკონტროლოს გადამცემი ანტენების ადგილმდებარეობა საკუთარი ჯანმრთელობის დაცვის მიზნით.** თუმცა, ეს საკმაოდ ძნელია, რადგან ერთი გაზომვის ჩატარება 600 ლარი ჯდება. ამიტომ აუცილებელია, რომ საქართველოს ხელისუფლებამ და გარემოს დაცვის სამინისტრომ ჩაატაროს გარემოს ეკოლოგიური მდგომარეობის სრული გამოკვლევა ჩვენს ირგვლივ არსებული მაღალი სიხშირის ელექტრომაგნიტური ტალღების სიმძლავრეების განაწილების მიზნით.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სატელევიზიო მიმღები ანტენები, რომლებიც მრავლადაა სახლების სახურავებზე, მოსახლეობისთვის სრულიად უხიფათოა ისევე, როგორც ჩვენს ბინებში არსებული ინტერნეტ-კავშირებისათვის საჭირო მაღალი სიხშირის ელექტრომაგნიტური ტალღა, რადგან ეს კავშირი მხოლოდ 10-15 მეტრზე ვრცელდება და სიმძლავრე სულ ცოტა 1000-ჯერ ნაკლებია მობილური ტელეფონებიდან გამოსხივებულ ტალღის სიმძლავრესთან შედარებით.

მერაბ ჯიბლაძე,
პროფესორი,
ფიზიკა-მათემატიკის
მეცნიერებათა დოქტორი,
ამერიკის ფიზიკური
საზოგადოების წევრი

◎ ჭადრაკი

ჯავახიშვილი ერთპიროვნულად ლიდერობს

თბილისის ჭადრაკის სასახლეში დასასრულს უახლოვდება საქართველოს მოჭადრაკე ქალთა 71-ე ეროვნული ჩემპიონატი, რომელშიც სხვადასხვა რეგიონის 12 წარმომადგენელი წრიული სისტემით ეცილება ერთმანეთს ჩემპიონობას. მე-8 ტურში ცენტრალური იყო ერთპიროვნული ლიდერის – ლელა ჯავახიშვილისა და მეწინავეთა ჯგუფის წევრ სოფიო გვეტაძის დაპირისპირება. მეტოქეებმა 32 სვლის განმავლობაში საგრძნობ უპირატესობას ვერ მიაღწიეს და ქულა გაიყვეს. ტურის დანარჩენი ხუთი პარტია შედეგიანი აღმოჩნდა: ბელა ხოტენაშვილმა შავი ფიგურებით 72-ე სვლაზე აჯობა ახალგაზრდა ნინო ხომერიკს, ხოლო საქართველოს ხუთგზის ჩემპიონმა ნინო ხურციძემ მერი არაბიძეს მოუგო. ნინო ბაციაშვილი-ნანი უნაფქოშვილი 1:0, სოფიკო გურამიშვილი – ინგა ხურცილავა 0:1, სოფიო ნიკოლაძე-ანა კუჭავა 1:0.

რვა ტურის შემდეგ: ჯავახიშვილი – 7, ხურციძე – 6, გვეტაძე, ხოტენაშვილი – 5-5, არაბიძე – 5, ბაციაშვილი – 4, ხომერიკი-3,5, კუჭავა, ხურცილავა, ნიკოლაძე – 2-2, უნაფქოშვილი – 1 ქულა.

შეჯიბრების დამთავრებამდე სამი ტური დარჩა.

ლაშა დიდია

◎ ფეხბურთი

აქეთურ-იქითური

ფეხბურთელთა ეროვნული ჩემპიონატის მორიგ ტურში კურიოზული ფაქტი მოხდა: თბილისის „დინამოს“ ესპანელმა ბომბარდირმა ჩისკომ აუტიდან შემოტანილი ბურთი უძლიერესი დარტყმით ბოლნისის „სიონის“ კარის ბადეში გაახვია.

ერთი შეხედვით, ამაში გასაკვირი არაფერია, რომ არა ის ეპიზოდი, რომელიც აღნიშნული სტანდარტული მდგომარეობის გათამაშებას უძღოდა წინ. კერძოდ, რადგან „თეთრ-ლურჯთა“ ერთ-ერთი მოთამაშე ტრავმირებული იყო, სტუმართა ნახევარმცველმა გოგობერიშვილმა ბურთი შეგნებულად გაგზავნა მინდვრის ფარგლებს მიღმა. დაუწერელი კანონის თანახმად, მასპინძლებს ფეირ პლეის პრინციპები უნდა დაეცვათ და იერიშის წამოწყების საშუალება მეტოქისთვის უნდა დაეთმოთ, მაგრამ, როგორც უკვე მოგახსენეთ, მათმა ლეგიონერმა სამართლიანი თამაშის ნორმები ფეხებზე დაიკიდა და ანგარიში გახსნა – 1:0.

ბუნებრივია, ამან ქვემოქართველთა აღშფოთება გამოიწვია და სარბიელზე გაწევ-გამოწევა ატყდა, მაგრამ ვნებები მალევე დაცხრა და, იცით, როგორ? თამაშის ცენტრიდან განახლებისთანავე დიღმელებმა პოზიციები მიატოვეს და კახელიშვილს საპატიო ესკორტის თანხლებით საპასუხო გოლი ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე გაიტანეს – 1:1, ხოლო მალევე კვანძი მინდორზე ახალშესული უგულავას ძალისხმევით გაიხსნა, რომელიც თბილისელთა საჯარიმოში იოლად გაუსწორდა ხიდეშელ-გველესიანის წყვილს და სენსაციური გამარჯვება მოუტანა პარტნიორებს – 2:1.

დანარჩენი შედეგები: „ცხინვალი“ – „ჩიხურა“ 2:3, „ტორპედო“ – „მერანი“ 1:1, „მეტალურგი“ – „ვიტ ჯორჯია“ 2:0, „დილა“ – „გურია“ 1:3, „ზესტაფონი“ – „ბაია“ 3:0.

ლიდერთა ჯგუფი: „დინამო“ – 42, „ჩიხურა“ – 38, „ზესტაფონი“ – 32 ქულა.

კვირას საჩხერეში ცენტრალური მატჩია: „ჩიხურა“ – „დინამო“.

* * *

ჩემპიონთა ლიგის პირველი მერვედფინალური რაუნდი მადრიდის „რეალის“ სამმაგი „დუბლით“ დაგვირგვინდა.

დიახ, ბენზემამ, ბეილიმ და რონალდუმ სტუმრად „შალკესთან“ მართლაც რომ სამეფო საჩუქარი უძღვნეს „სამეფო კლუბის“ ქომაგებს – 6:1 და კიდევ უფრო განუმტკიცეს რწმენა, რომ ყველაზე პრესტიჟულ ევროტურნირში მეათე ტრიუმფზე სავსებით საფუძვლიანად ოცნებობენ.

რაც შეეხება დღის მეორე წყვილს, „გალათასარაიმ“ და „ჩელსიმ“ თურქეთში ზავი გამოაცხვეს – 1:1 (აურელიუ; ტორესი) და მათ შორის უძლიერესს საპასუხო შეხვედრა გამოავლენს.

გიორგი ზოთაძე

◎ მშვილდოსნობა

დედა-შვილი – ცეცხლის ხაზზე

ნიმი (საფრანგეთი) მშვილდოსანთა ზამთრის მსოფლიო ჩემპიონატს მასპინძლობს. სპორტსმენები დარბაზში 18-მეტრიან დისტანციაზე ეჯიბრებიან ერთმანეთს პირველობას. საქართველოს ვაჟთა ნაკრები მთლიანად ახალგაზრდებითაა (ლაშა ფხაკაძე, ზურაბ მესტვირიშვილი და ჯაბა მოსეშვილი) დაკომპლექტებული. ქალებში ეროვნული ჩემპიონატის შედეგებით საფრანგეთში გამგზავრების უფლება მხოლოდ ხათუნა ნარიმანიძემ დაიმსახურა, მისი ქალიშვილი ციალა ფუტკარაძე კი ბათუმმა დააფინანსა და ახლა დედა-შვილი ერთად დგანან ცეცხლის ხაზზე.

საკვალიფიკაციო ეტაპზე ნარიმანიძესთან ერთად ახალგაზრდების უმეტესობამ დამაკმაყოფილებელი შედეგები აჩვენა. ნარიმანიძემ 577 ქულა დააგროვა (საქართველოზე 568 ჰქონდა) და მერვე ადგილზეა, ფუტკარაძეს 556 ქულით 24-ე საფეხური უკავია. ფხაკაძე 56 მონაწილეს შორის 576 ქულით 21-ეა, მესტვირიშვილი 566 ქულით – 38-ე, ხოლო მოსეშვილი 549 ქულით – 53-ე. ბიჭებმა ვერც გუნდურში იყო ჩაღეს – 1691 ქულით მე-13 ადგილზე გავიდნენ და პლეი-ოფში ფრანგებს დაუპირისპირდნენ. „სამფეროვანთა“ უპირატესობა აშკარა იყო და მათ 234:221 გაიმარჯვეს.

პლეი-ოფის პირველ წრეში ნარიმანიძე შვეიცარიელ სელინ ჩობინგერს შეხვდება, ფუტკარაძე ფრანგ აურელიე კარლიერს გაუწევს მეტოქეობას, ფხაკაძე – გერმანელ კარლო შმიდტს გაეჯიბრება, მესტვირიშვილი და მოსეშვილი კი პლეი-ოფში ვერ მოხვდნენ.

ლექსო ციწაძე

◎ სამთო თხილამურები

სტარტი – დიდველზე

თოვლის სიმცირის მიუხედავად, ბაკურიანში დიდველის ტრასამ სამთო მოთხილამურეთა საქართველოს თასის გათამაშების პირველ ეტაპს უმასპინძლა. სამ ასაკში საასპარეზოდ გუდაურის, ბაკურიანის, მესტიის, კოდორისა და აჭარის 50 წარმომადგენელი ჩაება. ორდღიანი დაძაბული პაექრობების შემდეგ გამოვლინდნენ გამარჯვებულები და პრიზიორები სლალომსა და გიგანტურ სლალომში. გაუწყებთ პირველ ადგილებზე გასულთა ვინაობას:

სლალომი. 2000-2001 წლებში დაბადებულნი. თამარ ბარბარიანი (1.35,86), ლაშა კურტანიძე (ორივე – ბაკურიანი, 1.31,22), **1998-1999 წ.წ.** სალომე კვიციანი (სვანეთი, 1.46,25), გიორგი კურტანიძე (ბაკურიანი, 1.30,61), **1997 წელს და უფრო ადრე დაბადებულნი**. სუსანა გავა (1.31,51), ნიკოლოზ კოზანაშვილი (ორივე – ბაკურიანი, 1.15,72),

გიგანტური სლალომი. 2000-2001 წ.წ. ქეთი მიქაბერიძე (59,77), ლაშა კურტანიძე (ორივე – ბაკურიანი, 54,83), **1998-1999 წ.წ.** სალომე კვიციანი (1.54,41), ბესო ჯაფარიძე (ორივე – სვანეთი, 1.45,92), **1997 წ.** სუსანა გავა (1.47,25), ნიკოლოზ კოზანაშვილი (ორივე - ბაკურიანი, 1.36,09).

მომდევნო ეტაპს 22-23 მარტს გუდაური უმასპინძლებს.

გივი გაგუა

◎ ესეც რეკლამაა

არასპორტული ნოვაცია სოჭის ოლიმპიადაზე

ერთ-ერთი მთავარი ნოვაცია, რომელიც სოჭის ოლიმპიადაზე განხორციელდა, სპორტს ნაკლებად უკავშირდება, თუმცა, როგორც ნოვაციის ავტორები, საავტომობილო ფირმა „პორშეს“ მესვეურები ამბობენ, ამიერიდან მსგავს სიახლეებს ყოველი ოლიმპიადის მიმდინარეობისას შესთავაზებენ საზოგადოებას.

საქმე ისაა, რომ ზემოდასახელებულმა კომპანიამ, ოლიმპიადის ერთ-ერთ მასპინძელს, ცნობილ რუს ჩოგბურთელს მარია შარაპოვას ასეულობით ვიდეოსა და ფოტოკამერის წინ სპეციალურად მისთვის შექმნილი ავტომობილი გადასცა, რომელსაც სახელიც შესაბამისი – Porsche Panamera by Maria Sharapova – ჰქვია.

ამ გზით „პორშემ“, რასაკვირველია, რეკლამა გაიკეთა და, როგორც აღმოჩნდა, ოლიმპიადის მიმდინარეობისას მსგავსი ნოვაცია ბევრ კომპანიას მოეწონა. ასე რომ, მომდევნო ზამთრისა თუ ზაფხულის ოლიმპიადებზე შესაძლებელია ასეთი ტიპის ავტომობილების ბუმიც კი იყოს. მოგეხსენებათ, რეკლამა ოხერი და მიმზიდველი რამაა...

ვიტალი ჯაფარიძე

◎ ინტერნეტიდან

კიდევ ერთხელ მომღერალ კაკაზე...

უკვე მტერმაც და მოყვარემაც იცის, რომ ბრაზილიელი ფეხბურთელი რიკარდო კაკა მუსიკითაა გატაცებული და თვითონ ფეხბურთელიც არ მალავს, რომ საფეხბურთო კარიერის დასრულების შემდეგ შესაძლებელია მუსიკას სერიოზულად „მიაწვეს“.

კაკას მუსიკისადმი ინტერესი თურმე ბავშვობიდან ჰქონდა (მუსიკაზე დადიოდა), თუმცა, სიმღერისადმი სერიოზული ლტოლვა მაინც მისმა მეუღლემ კაროლინ სელიკომ გაუჩინა, რომელიც თავად პროფესიონალი მოდელია და არა მომღერალი.

როდესაც კაროლინსა და რიკარდოს პირველი შვილი ეყოლათ, კაკამ არც აცია, არც აცხელა და ახალდაბადებულ პირმშოს სიმღერა მიუძღვნა, თუმცა, უნდა ვაღიაროთ, რომ ეს სიმღერა ბულბულის გალობას ნამდვილად არ ჰგავს.

როსტომ რაჭველიშვილი

◎ დრო და ფული

ცეცხლოვან დღეთა მწირი საკვები

როცა 1943 წლის ნოემბერში საბჭოთა ჯარმა გერმანელებისგან კიევი გაათავისუფლა, უკრაინის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახელმწიფო ბანკის საცავებში ნანახმა გამარჯვებულები უსაზღვროდ გააოცა. საქმე ისაა, რომ ბანკის სარდაფებში ერთად ინახებოდა საბჭოთა მანეთები, საოკუპაციო მარკები და ადგილობრივი ფულის ნიშნები, რომლებსაც „Karbowanez“ ეწერა. ეს შემთხვევითი სულაც არ განხლდათ: ყველა ეს კუპიურა უკრაინის მთელ ტერიტორიაზე 1941-44 წლებში მიმოქცევაში იყო, თანაც, ბოლშევიზმისადმი ზიზღით გამსჭვალული ნაცისტები ძალიან ადვილად ეგუებოდნენ საბჭოთა თუმნიანებზე ლენინის გამოსახულებას. როგორ იცვლებოდა ეს ფული ფრონტის ხაზის ორივე მხარეს, რა საქონელი რამდენი ღირდა იმ ძნელბედობის უამს?

ომის დაწყების შემდეგ საჯარიმო ბატალიონის ჯარისკაცი თვეში 8,5 მანეთს, რიგითი წითელარმიელი – 17 მანეთს, ლეიტენანტი – 780 მანეთს, კორპუსის მეთაური – 2,5 ათას მანეთს იღებდა. გარდა ამისა, მალე მტრის ტექნიკის განადგურებისთვის პრემიების გადახდა დაიწყეს, მაგალითად, მტრის ჩამოგდებული თვითმფრინავისთვის მფრინავს ათასი მანეთით ახალისებდნენ, ბერლინზე ავიათავდასხმისთვის – 2 ათასი მანეთით.

ჯარისკაცთა უმრავლესობა ფულს, ფაქტობრივად, არ ხედავდა, საბჭოთა ოფიცერი კი შეიძლებოდა შინ შეძლებულ კაცად დაბრუნებულიყო. მაგალითად, მფრინავმა მიხეილ ბორისოვმა, 1945 წლის 4 მაისს ჯავშნოსან „შლეზიენის“ ჩაძირვაში 10 ათასი მანეთი მიიღო.

როცა საბჭოთა ჯარი მტრის ტერიტორიაზე გადავიდა, საფინანსო ნაწილებში თანდათან ვალუტა გამოჩნდა. სატანკო ბატალიონის მეთაურმა დიმიტრი ლოზამ, რომლის ჯარისკაცები 1945 წლის აპრილში პირველები შევიდნენ ვენაში, ადგილობრივი სასტუმრო „ასტორიის“ რესტორანში 180 კაცზე სადილი შეუკვეთა, რომელზეც ფრანგულ შამპანურს მიირთმევდნენ და ანგარიში სახაზინო დოლარებით გაასწორა. მან ვალუტის იმდროინდელი კურსი არ იცოდა და ავსტრალიელებს საბანკო შეკვრა გადასცა, რომელშიც 100-ასდოლარიან კუპიურა იდო.

1941 წელს საბჭოთა მრეწველობაში საშუალო ხელფასი 573 მანეთი იყო. ინჟინერი 1200-1700 მანეთს იღებდა, კვალიფიციური მუშა – დაახლოებით 1000 მანეთს. ჯერ კიდევ 1941 წლის ივნისს ლიტრი რძე - 4 მანეთი, კილოგრამი ხორცი – 18-24 მანეთი, კარტოფილი – 2-2,5 მანეთი ღირდა, ივლისში კი სურსათის განაწილების საბარათო სისტემა შემოიღეს. ომის წლებში ბარათებით განაწილებული სურსათის ფასები თითქმის არ შეცვლილა, გამონაკლისს მხოლოდ სპირტიანი სასმელები (ომამდე ნახევარი ლიტრი არაყი 3,40 მანეთი ღირდა, ომის შემდეგ კი 11,40 მანეთი) და თამბაქოს ნაწარმი წარმოადგენდნენ. სხვა საქმეა ის, რომ მარტო თვიური სასურსათო ულუფით თავის გატანა რთული საქმე იყო.

1942 წელს საბჭოთა კავშირში მუშას, ყველაზე მსუყე ბარათზე თვეში 2,2 კილოგრამი ხორცი, კილოგრამი თევზი, 800 გრამი ცხიმი, 2 კილოგრამი ბურღული და მაკარონი, აგრეთვე დღე-ღამეში 800 გრამი პური მოდიოდა. კმაყოფაზე მყოფი ხალხის ნორმები ყველაზე მწირი იყო: თვეში მათ მხოლოდ 600 გრამი ხორცი, 500 გრამი თევზი, კილოგრამი ბურღული და მაკარონი, ასევე დღე-ღამეში 250 გრამი პური ერგებოდათ **(თუ რამდენად დავიცალდით იმ დროს კვების თვალსაზრისით, დაინტერესებულ მკითხველს ვურჩევთ ჩვენში ეგრეთ წოდებული საარსებო მინიმუმის სასურსათო კალათის ჩამონათვალს გადავლოთ თვალი – რედ.).** ამიტომაც, ვისაც შესაძლებლობა ჰქონდა, სურსათს შავ ბაზარზე, კერძო მოვაჭრეებისგან ყიდულობდა, რომლებიც ყველაფერს მამასისხლად ყიდდნენ. 1943 წელს საკოლმეურნეო ბაზრებში ფასებმა, ომამდელთან შედარებით, 12-13-ჯერ მოიმატა.

მეორე მსოფლიო ომის წლებში ოკუპაციაში სსრ კავშირის მოსახლეობის დაახლოებით მესამედი, 70 მილიონი კაცი მოყვა. მთელ ოკუპირებულ ტერიტორიაზე გადახდის საშუალება გერმანიის საკრედიტო სალაროების ბილეთები იყო, რომლებიც უფრო მეტად „საოკუპაციო მარკების“ სახელით იყო ცნობილი. მიმოქცევაში ასევე საბჭოთა მანეთებიც იყო – შეფარდებით 10 მანეთი – ერთი მარკა. ეს იგივე მანეთები იყო, რომლებიც ფრონტის ხაზს მიღმა მიმოქცევაში სამხედრო ტყვეთა ბანაკებშიც კი იყო!

გერმანელთა მიერ დანიშნული ბურგომისტრი (ქალაქის მერი) ყოველთვიურად 1500 მანეთს იღებდა, მისი უახლოესი თანაშემწეები – 900 მანეთს, „საოფისე პლანკტონი“ კი, ანუ მოხელეთა წვრილფეხობა– 300-700 მანეთს, სოფლის მამასახლისები თვეში 30-დან 180 მანეთამდე, ხოლო პოლიციელები – 250 მანეთამდე გასამრჯელოს იღებდნენ.

გერმანელთა ოკუპაციის დროს შემოსავლის მიღება სხვა გზითაც შეიძლებოდა. ზოგიერთ ოლქში ადგილობრივ მცხოვრებ ქალს, რომელიც შეძლებდა იმის დამტკიცებას, რომ ბავშვი გერმანელი ჯარისკაცისგან გააჩინა, ყოველთვიურად 200 მანეთის შემწეობა ეკუთვნოდა. ათასი მანეთის შოვნა შეიძლებოდა, თუკი კაცი გერმანელებს პარტიზანს „ჩააბარებდა“, ოკუპირებულ კარელიაში ფინელი სამხედროები საბჭოურ ტანკში 10 ათას მანეთს იხდიდნენ.

ოკუპირებულ ტერიტორიაზე საქონლის ფასი ზონების მიხედვით დიდად განსხვავდებოდა. სამხრეთში ყველაფერი უფრო იაფი იყო, ჩრდილოეთში – ძვირი. მაგალითად, კილოგრამი პური კიევში 250 მანეთი ღირდა, ლენინგრადთან კი, სადაც ბლოკადის დროს შიმშილისგან 200 ათასი კაცი გარდაიცვალა, მისი ფასი (რაღა თქმა უნდა, ფიზიკურად თუ მოიძებნებოდა!) 1000 მანეთს აღწევდა.

სანთელი

ჟუტო ცხადაძე

მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზების და ქვესადგურების მშენებარე შპს „კავკასიონი“ (ყოფილი ტრესტ „კავკაზელექტროქსელმშენის“ მე-8 მექანიზებული კოლონა) ღრმა მწუხარებით იუწყება რომ გარდაიცვალა მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზების მშენებლობის ღვაწლმოსილი მემონტაჟე-ბრიგადირი **ჟუტო ვასილის ძე ცხადაძე.**

მან მუშაობა დაიწყო შპს „კავკასიონში“ (ყოფილი ტრესტ „კავკაზელექტროქსელმშენის“ მე-8 მექანიზებული კოლონა) 1961 წლიდან, სადაც მუშაობდა სიცოცხლის ბოლომდე.

ამ პერიოდში ბატონი ჟუტო ცხადაძის მონაწილეობით აშენებულია მრავალი 110, 220, 330, 500, 750 კვ ელექტროგადამცემი ხაზები როგორც საქართველოში, ასევე ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებში (რუსეთი, უკრაინა, ბელორუსია, აზერბაიჯანი, სომხეთი და სხვა რესპუბლიკებში).

ასევე მონაწილეობა აქვს მიღებული 500 კვ ელექტროგადამცემი ხაზის „კავკასიონის“ მშენებლობაში კარაჩაევო-ჩერქეზეთის, სტავროპოლის და კრასნოდარის მხარეში. მისი პირადი ხელმძღვანელობით დამონტაჟებულია 500 კვ ელგადამცემი ხაზ „კავკასიონზე“ კარაჩაევო-ჩერქეზეთის რესპუბლიკაში „ნახარის“ უღელტეხილზე 1500 მ და 1600-მეტრიანი მალები (ორ ანძას შორის).

1992-2000 წლებში სხვადასხვა მიზეზის გამო 500 კვ ხაზი „კავკასიონი“ რუსეთის ტერიტორიაზე ექვსჯერ იყო დაზიანებული. ყველა ამ აღდგენითი სამუშაოების უმოკლეს ვადაში შესრულებაში ბატონ ჟუტოს პირადი მონაწილეობა აქვს მიღებული.

მიღებული აქვს საბჭოთა კავშირის დროს უმაღლესი ჯილდოები, ორი დიდების ორდენი, რამდენჯერმე მიღებული აქვს ყოფილი სსრკ-ს ენერგეტიკისა და ელექტრიფიკაციის წარჩინებული მუშაკის წოდება. 1984 წელს 27 დეკემბერს მიენიჭა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით საქართველოს სსრ დამსახურებული მშენებლის საპატიო წოდება.

მას მრავალი ახალგაზრდა ჰყავს გაზრდილი, რომლებიც არიან მაღალი ძაბვის ელგადამცემი ხაზის წამყვანი სპეციალისტები.

მეგობრები თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

მიხეილ გოცირიძე, ნუგზარ კოტია, გივი კაცაძე, მურმან ჯოჯუა, მერაბ მაგრაძველიძე, კახა კახათელიძე, სოსო წოწორია, მამუკა გულიაშვილი, ანდრო ცხადაძე, გელა უნდილაშვილი, კონსტანტინე სარძისოვი.

მელორ, მერაბ ტყეშელაშვილები ოჯახებით იუწყებიან უკეთილშობილესი ადამიანის

ჯულიეტა მაჩაიძის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ ზურაბ მაჩაიძის ოჯახსა და ახლობლებს.

თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის თანამშრომლები მწუხარებით თანაუგრძნობენ ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელს გია ბრეგვაძეს დედის

ვენერა ელისაშვილი-ბრეგვაძის

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

◎ ეს რა, სტუმარ-მასპინძლობის წესია?

ქართველებს ავიწროებენ, უცხოელებს სრულ თავისუფლებას აძლევენ

კომუნისტური ეპოქიდან ასე მოდის, ქართველებს საქართველოში რაიმე სახის დარღვევაზე უფრო მკაცრ სასჯელს ადებდნენ, ვიდრე ანალოგიურის ჩამდენ უცხოელს. მიუხედავად იმისა, რომ კანონი მათ დიფერენციას არ ითვალისწინებს. წინა ხელისუფლებამ კანონში შეტანილი ცვლილებებით ეს განსხვავებულობა დააკანონა (მაგ. არაფხიზელ მდგომარეობაში ავტომანქანის მართვა, მანქანით ჩადენილი დარღვევა თუ დანაშაული და უამრავი სხვა).

უცხოელების მიმართ ლოიალობა, როგორც ჩანს, მემკვიდრეობად ერგო ახალ ხელისუფლებასაც, აცხადებენ სპეციალისტები. ამის დამამტკიცებლად მათ მოჰყვათ რამდენიმე დღის წინათ ფოთში გამართული მეთევზეთა აქცია. ისინი მერიის წინ შეიკრიბნენ და ადგილობრივ ხელისუფლებას თავიანთი პრეტენზიები და მოთხოვნები წაუყენეს. აქციის მონაწილეებს მერიის გარდა, კონკრეტული მოთხოვნები აქვთ საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტროსთანაც.

მეთევზეთა და ქართული სეინერების მეპატრონეთა პრეტეზიები ჩამოაყალიბა მეთევზეთა კავშირის თავმჯდომარემ **მურად მიმინოშვილმა.** მისი განცხადებით, ჩვენებს თურქ მეთევზეებთან არათანაბარ პირობებში უწევთ მუშაობა. თურქები თევზჭერას არასტანდარტული ბადე-იარაღებით აწარმოებენ, რის გამოც განადგურებულია სანაპიროს ზოლის 70 პროცენტი, ეკოლოგთა დასკვნების საფუძველზე აცხადებს მეთევზეთა კავშირის თავმჯდომარე.

იგი ამბობს, რომ ყოველივე ამის შესახებ დაწვრილებით მიწერეს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრს, მაგრამ რეაგირება ჯერ არ ჩანს. მიმინოშვილი სინანულით აღნიშნავს, რომ საქართველოს მაკონტროლებელი ორგანოები ჩვენი მეთევზეების ელემენტარულ, უმნიშვნელო დარღვევაზეც კი მწვავედ რეაგირებენ, მაშინ, როდესაც უცხო ქვეყნების გემების უფრო დიდ და უხეშ დარღვევებზეც კი შეგნებულად ხუჭავენ თვალს.

საქართველოს მეთევზეთა კავშირის თავმჯდომარე ითხოვს შეხვედრას გარემოს დაცვის მინისტრთან და სურს საქმის კურსში ჩააყენოს იგი, თუ რა ხდება რეალურად, რადგანაც ირგვლივ სრული განუკითხაობაა. თუ არ დაკმაყოფილდა ჩვენი მოთხოვნები, მოგვიწევს უკიდურესი ზომებისათვის მიმართვა, – აცხადებს მურად მიმინოშვილი.

ზაზა ბილიხოძე

რეკლამა
299-62-77;
599 32-85-76.
„საქართველოს რესპუბლიკაში“

დაზუსტება

2014 წლის 23 აპრილს 15:00 საათზე, ოზურგეთის რაიონის სოფელ შრომას მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციულ შენობაში გაიმართება ადგილობრივი მნიშვნელობის ნატანები-შრომა-ურეკის საავტომობილო გზის მე-10 კმ-ზე მდინარე სეფაზე ახალი სახიდე გადასასვლელის მშენებლობის პროექტის გზშ-ს ანგარიშის საჯარო განხილვა. შეხვედრის მიზანია, დაგეგმილ სამუშაოთა ზემოქმედების არეალში მოქცეული ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმირება.

საზოგადოების წარმომადგენლებს დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის გაცნობის საშუალება ექნებათ შემდეგ მისამართზე:

- **საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის ვებ-გვერდზე: www.georoad.ge**
- **სოფ. შრომას მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციულ შენობაში (გზშ-ს ანგარიშის ამობეჭდილი ვერსია);**

გთხოვთ, წერილობითი შენიშვნები და კომენტარები მიაწოდოთ მითითებულ საკონტაქტო პირებს; ლუიზა ბუბაშვილს, ტელ: 595219141 likabubashvili@yagoo.com და მედგარ ჭელიძეს 599162221

საზოგადოების მოსაზრებების წარდგენის ბოლო ვადაა დაგეგმილი საქმიანობის შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნებიდან 45 დღე.

◎ ჩვენი კარაბადინი

„უმარილო ხუმრობაც ხომ არ ვარგა“...

მარილს ხშირად „თეთრ სიკვდილსაც“ უწოდებდნენ, უმარილო საკვები კი ყველაზე ჯანსაღად მიაჩნდათ. მაგრამ, თურმე, ამ საწებელს ადამიანი გვერდს ვერ აუვლის. ამას გარდა, მრავალ შემთხვევაში ის ჩვენთვის ნამდვილ წამლად შეიძლება იქცეს.

ნორმა კლიმატზეა დამოკიდებული

მარილი ადამიანის ქსოვილების სითხისა და სისხლის შემადგენლობაში შედის. მისი კონცენტრაცია დაახლოებით 0,5-0,6 პროცენტს შეადგენს. როდესაც ორგანიზმი ოფლიანდება, ის სინესტესთან ერთად გამოყოფს მარილსაც, ამიტომ ცხელ ქვეყნებში მისი მოხმარების სადღეღამისო ნორმა მოზრდილებისთვის ორჯერ მეტია: 25-30 გრამი 10-15 გრამის ნაცვლად ზომიერ კლიმატში.

ამიტომ იმ ადამიანებმა, ვისაც შარდკენჭოვანი დაავადებანი და ჰიპერტონია აწუხებს, სადღეღამისო ნორმა უნდა შეამცირონ.

იმათ, ვისაც მიაჩნია, რომ ნატურალური პროდუქტიდან ღებულობენ საკმარის მარილს, უნდა იცოდნენ: ორგანული მარილები ინგრევა თერმული დამუშავებისა და ხანგრძლივი შენახვის დროს. ამიტომ სწორია ბოსტნეულისთვის მარილის დაყრა. ყველაზე უკეთესია — ზღვის ან ქვის მარილით, ის მიკროელემენტითაა უფრო მდიდარი.

როდესაც ორგანიზმს მარილი არ ჰყოფნის, იგი იძულებულია გამოყოს ის სისხლისგან და ქსოვილებისგან, ამას კი ფუნქციონალურ მოშლილობასთან მივყავართ: ცენტრალური ნერვული სისტემის დაზიანებასთან, გადატკეცილი კუნთების სპაზმებთან, გულსისხლძარღვთა მუშაობის დარღვევასთან. მარილი აუცილებელია კუჭში მარილიანი (ქლორწყალბადიანი) მჟავის ყოველდღიური წარმოქმნისთვის, რომელიც კუჭის წვენის შემადგენლობაში შედის.

შჩეგლოვის მეთოდი

დიდი სამამულო ომის დროს ბევრ ჰოსპიტალში არ ჰყოფნიდათ არა მხოლოდ მედიკამენტები, არამედ სამედიცინო დებიც, რომლებიც ფეხზეც ძლივს იდგნენ ხოლმე დაჭრილებისთვის ჭრილობების გადახვევებით დაქანცულები. პრობლემის გადაწყვეტილება მონახა ქირურგმა ივან შჩეგლოვმა, რომელიც ერთ-ერთ საველე ჰოსპიტალში მუშაობდა. მან დააყენა წინადადება დაედოთ ახლახან შემოყვანილი მებრძოლების გაჭუჭყიანებულ ჭრილობებზე ჰიპერტონულ (ესე იგი გაჟღენთილ) ხსნარში (8-10 გრამი მარილი 100 გრამ წყალზე) დასველებული მარლა. ოთხფენა მარლის ხელსახოცებს დღეში ორჯერ ცვლიდნენ. უკვე 3-4 დღის შემდეგ ჭრილობა თავად იწმინდებოდა ხოლმე და ვარდისფერი ხდებოდა. მარილის ჰიპერტონული ხსნარი მოქმედებდა, როგორც სორბენტი, რომელიც ჭრილობიდან ისრუტავს მთელ ჭუჭყსა და ჩირქს, ავლენს მიკრობსაწინააღმდეგო მოქმედებას. მარილიანი ნახვევის წყალობით შჩეგლოვის განყოფილებაში თითქმის არ ხდებოდა ამპუტაციები განგრენის გამო. ჭრილობების მარილით მკურნალობის ამ მეთოდმა სახელწოდება „შჩეგლოვის მეთოდი“ მიიღო.

ცხოვრების ყველა შემთხვევისთვის

გაცივებისა და ალერგიული ხველების წინააღმდეგ. ერთმანეთში აურიეთ 1 ჩაის კოვზი თაფლი, 2 სუფრის კოვზი ანისი და ერთი მწიკვი მარილი. დაასხით ერთი ჭიქა წყალი, წამოადუღეთ და გაწურეთ. მოზრდილებმა უნად მიიღონ 2 სუფრის კოვზი ყოველ 2 საათში.

ფეხების ოფლიანობისა და სოკოთი დაზიანების დროს. ერთ ლიტრ თბილ წყალში გახსენით 4 სუფრის კოვზი მარილი და 6 წვეთი იოდი. ხსნარში ფეხები გააჩერეთ 5-10 წუთით დღეში სრულ გამოჯანსაღებამდე.

მწერების კბენის დროს. დაისველეთ ნაკბენი ადგილი წყლით და მოაყარეთ მარილი.

მეჭეჭების მკურნალობისთვის. პირშუშხის წვენი აურიეთ სუფრის მარილში პროპორციით 1:1-ზე და დაიზილეთ ყოველდღე.

ვენების ვარიკოზული გაფართოების დროს. ზღვის მარილი გახსენით წყალში თხელი ფაფის დონემდე, გააცივეთ 0 გრადუსამდე. წაუსვით ფაფა მარლაზე და დაიდეთ ვენების „ზოლზე“. როდესაც სხეულისა და ფაფის ტემპერატურა გათანაბრდება, მარლა შეიძლება მოვიხსნათ. უმჯობესია, ეს დილით გავიკეთოთ.

გაციების წინააღმდეგ. გააცხელეთ ზღვის ან ქვის მარილი ტაფაზე და ჩაყარეთ ტილოს პარკში. შედექით პარკზე, რათა კარგად გაიხუროთ ტერფები. ტემპერატურა უნდა იყოს ცხელი, ოღონდ ასატანი.

აურიეთ მარილი მდოგვსა და წითელ წიწაკაში, წაუსვით ნარევი წინდებს და ჩაიცვით. მარილი მოახდენს ტერფებზე რეფლექტორული წერტილების სტიმულირებას, წიწაკა კი მდოგვთან ერთად — გაათბობს მათ.

პარადონტოზისა და კბილებზე ნალექების დროს. მარილი და თაფლი თანაბარ პროპორციებში აურიეთ ერთმანეთში, გაიხეხეთ კრისტალების გახსნამდე. პასტით გაიხეხეთ კბილები და ნელ-ნელა შეაწოვინეთ ღრძილებს. ეს საშუალება გამოიყენეთ კვირაში 1-2-ჯერ.

კვებითი მოწამვლის დროს. დალიეთ რამდენიმე ჭიქა მარილიანი წყალი. მარილი წინააღმდეგობას გაუწევს ტოქსინების შეწოვას სისხლში.

ხელებისა და ფეხების სახსრების ართროზის დროს. აურიეთ მარილი მდინარის სილას პროპორციით 1:1 და გააცხელეთ ტაფაზე. შემდეგ ჩაყარეთ თეფშში და ჩაყავით მასში თითები. გააჩერეთ ნაზავის გაცივებამდე.

◎ ჩვენი პრესდაიჯესტი

ვყურადღებიანი ვართ ეროვნულებზე

ბურჯანაძე ლარიბაშვილის ობამასთან შეხვედრას დადებითად აფასებს

„დემოკრატიული მოძრაობის“ ლიდერი ნინო ბურჯანაძე საქართველოს პრემიერისა და ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის შეხვედრას გამოეხმაურა. „მხოლოდ პოზიტიურად შეიძლება შევაფასო ის, რომ აშშ-ის პრეზიდენტთან ძალიან მაღალი რანგის შეხვედრა შედგა, თუმცა აქ გასაკვირი არაფერია. სიმართლე გითხრათ, ძალიან გამიკვირდებოდა, ასეთი შეხვედრა რომ არ შემდგარიყო... იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ეს შეხვედრა საქართველოსთვის მნიშვნელოვანი იქნება, მათ შორის დემოკრატიული პროცესების თვალსაზრისით და იმ მტკივნეული საკითხების ირგვლივ, რომელიც ყველას გვაწუხებს“ — აღნიშნა ბურჯანაძემ.

„ალია“

„უკრაინაში მაღალი თანამდებობები შემომთავაზეს, მაგრამ ჩემი არსებობა საქართველოს ეკუთვნის“

საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის მიხეილ სааკაშვილის განცხადებით, მას უკრაინაში მაღალი თანამდებობები შესთავაზეს, თუმცა, აღნიშნული წინადადებები არ მიიღო. მისი თქმით, რჩევების კუთხით ის ყოველთვის მზადაა უკრაინის დასახმარებლად, თუმცა, მათ გასაკეთებელს უკრაინელი ხალხის გარდა, ვერავინ გააკეთებს.

„ძალიან პარადოქსული წინადადებები იყო, მათ შორის მაღალი თანამდებობების დაკავების წინადადებებიც. იყო შემოთავაზება მაღალ ოფიციალურ თანამდებობაზე... მე ვუპასუხე, რომ ჩემი გული აქ არის და ჩემი არსებობა საქართველოს ეკუთვნის“, — განაცხადა სааკაშვილმა.

„ახალი თაობა“

ვინ უამბო კონსტანტინე გამსახურდიას არსაკიძის ამბავი?

კაცი, რომელმაც კონსტანტინე გამსახურდიას არსაკიძის ამბავი უამბო, სვეტიცხოვლის ეზოში მცხოვრები, წილკნის ეპისკოპოსი ალექსი ყოფილა. კონსტანტინე გამსახურდია მხოლოდ თავის ერთ-ერთ მოგონებაში აღნიშნავს, რომ არსაკიძის ამბავი ერთმა მღვდელმა უამბო. მწერალი სხვაგან არც ამ შემთხვევასა და არც ეპისკოპოსის სახელს, სამწუხაროდ, არ ახსენებს. ეპისკოპოს ალექსის სასულიერო ცხოვრება ეკლესიამდე საშინელი აგრესიის, სულიერების დევნისა და დაცინვის ეპოქაში მიმდინარეობდა. ბევრმა ღვთისმსახურმა რევოლუციის შემდგომი ხელისუფლების სისასტიკეს ვერ გაუძლო და ეკლესია მიატოვა. ეპისკოპოსი ალექსი ერთ-ერთი იმათგანი იყო, ვინც რწმენას ზურგი არ აქცია და სიცოცხლის ბოლომდე ღვთისა და ეკლესიის ერთგული დარჩა. სიცოცხლის ბოლო ათი წელი მან სვეტიცხოველის ტაძარში გაატარა.

„პრემიერი“

რეკლამა გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში“
299-62-77; 599 32-85-76.

◎ ინცხალი ანეკდოტები

— ამ მეზობელმა ხელში შემიკლა, მაგისი დედაც!..
— თუ სათევზაოდ წავედი, ის ჩემს ცოლთან გამორბის, თუ სახლში ვარ, იგი ჩემს ანკესებს ამოწმებს.

* * *

აცრემლებული დაშა დაქალს ურეკავს.
— რა გატირებს? — ეკითხება იგი.
— წარმოგიდგენია, სვეტა, დღეს ადრე დავბრუნდი სამსახურიდან, ქმარს სიურპრიზს გავუკეთებმეთქი, და, ფეხაკრეფით შევიპარე ბინაში... იქ კი ჩემი ქმარი ვიღაც გოგოსთან ნებივრობს საწოლში.
— ახლა სახლში ხარ, დაშა?
— ჰო, სამზარეულოში ვზივარ და ველოდები, როდის გამოვლენ ისინი საძინებლიდან.
სვეტამ ტელეფონი გათიშა და, — დავიღუპეთო, — ჩასჩურჩულა საყვარელს.

— ვინ რეკავდა?
— შენი ცოლი..

* * *

— როდესაც იგი წერომ მიუტანა მშობლებს, ისინი დიდხანს იცინოდნენ და თავდაპირველად წეროს აყვანაც კი სურდათ...

* * *

ზოგიერთი ყმაწვილი გულუბრყვილოდ ფიქრობს, რომ ცოლის მოყვანა გადაუჭრის მათ კვებისა და წინდების რეცხვის პრობლემას.
ჰა-ჰა-ჰა, ჰა-ჰა-ჰა, ჰა-ჰა-ჰა.

* * *

— გუშინ დავბრუნდი ლონდონიდან, — ეუბნება ტომი ბილის. იცი, რა ადვილია იქაური გოგოების შებმა? იცი, რამდენი მყავდა? სიუზი, ქეითი, კელი, ჯონი...
— ვინ-ვინ? ჯონი?
— იცი რა, ლონდონში ისეთი ნისლია...

◎ კადრი



ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პერომსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძობულია 599 36-00-36
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24